

თინა ნაყეური-დათაშვილი

მცენარეული საღებავები ფშაურ ტრადიციულ რეწვაში



Tina Nakeuri-Datashvili

Plant-derived Dyes in Traditional Pshavian Crafts

სასწავლო-შემეცნებითი სახელმძღვანელო

A guidebook

ფოტოგრაფი

ფირო აბრამიშვილი

ფშავის ფოტოები

ანა მამულაშვილი, ანა მჭედლური, მარიამ ხუცურაული

მხატვარი

გივი კოლეღიშვილი

სარედაქციო ჯგუფი

ნანული აზიკური, თამარ დათაშვილი, შორენა დათაშვილი

დიზაინერი

შორენა დათაშვილი

ტექნიკური დიზაინერი

გიორგი ლომსაძე

თარგმნა

ერიკ ჰალვორსონი

კორექტორი

ნატალი ტეილორი
თამარ გაგაშელიშვილი

ISBN 978-9941-8-4768-4

PHOTOGRAPHER

Phiro Abramishvili

PHOTOS OF PSHAVI

Ana Mamulashvili, Ana Mtchedluri, Mariam Khutsurauli

ILLUSTRATOR

Givi Kolelishvili

EDITORIAL TEAM

Nanuli Azikuri, Tamar Datashvili, Shorena Datashvili

GRAPHIC DESIGNER

Shorena Datashvili

TECHNICAL DESIGNER

Giorgi Lomsadze

TRANSLATION

Eirik Halvorson

PROOFREADERS

Natalie Taylor
Tamar Gavashelishvili

სარჩევი CONTENT

საღებავი მცენარეები ფშავში/Dyeing Plants in Pshavi	15
ფერები მცენარეული საღებავის მიხედვით სხვადასხვა კუთხის მაგალითზე/ Various Regional Examples of Colors According to Botanical Dyes	75
ფშავური სამოსი/ Pshavian Clothing	87
ყველაფერი ფშავური სამოსის და აქსესუარების შესახებ/ Everything about Pshavian clothing and accessories	145
ფშავური ფარდაგი/Pshavian carpet	167
საავტორო ნამუშევრები/Some works by the author	240
ძველქართული ზომის ერთეულები/Old Georgian units of measurement	293
ბიბლიოგრაფია/ Bibliography	294
მადლიერება/ A Word of Gratitude	296



ავტორისგან

წიგნის დაწერა მშობლიური კუთხის, ქართული ტრადიციებისა და კულტურის მიმართ სიყვარულმა და მადლიერებამ განაპირობა. ჩემი მთავარი მიზანი მომავალი თაობებისთვის ქართული რეწვის იმ საამაყო გამოცდილების შენარჩუნება იყო, რომელსაც ფშავი ინახავს.

ფშავში რეწვა განვითარებული მეცხვარეობის მდიდარი ტრადიციების ნაწილია და საკმაოდ გრძელ პროცესს მოიცავს – მატყლის გარეცხვიდან მოქსოვამდე. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი ბუნებრივი საღებავების მიღებაა. ეს ფერები ფშაური ხელსაქმის ხარისხს და სილამაზეს განსაზღვრავს და ქიმიური საღებავებით ჩანაცვლება დაუშვებელია.

ფშავში დავიბადე და გავიზარდე. ბებიები ხელსაქმის ოსტატები იყვნენ. დედამ – ქეთევან ჭამაურმა – მაღაროსკარის სკოლაში ხელსაქმის პირველი სახელოსნო დაარსა. მეც ამ საქმიანობით ბავშვობიდან დავინტერესდი, შემდგომში კი რეწვისა და ბუნებრივი საღებავების შესახებ მასალების მოძიება დავიწყე, ყველა უხუცესი მოვინახულე და რაც ახსოვდათ, ჩავწერე.

თავიანთი ცოდნა-გამოცდილება გამიზიარეს ხელსაქმის გამორჩეულმა ოსტატებმა: სალომე თანდილაშვილმა, ნინო ქისტაურმა, თამარ ბუთხაშვილმა, მარიამ ნაყეურმა, სალომე ფიცხელაურმა, მარიამ თურმანაულმა, თამარ ნაყეურმა, თეკლე მჭედლურმა, თამარ ცქიფაშვილმა და დედუნა ბეკურაულმა. წიგნისთვის მასალების შედგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მამაჩემს, მიხეილ ნაყეურს. მასთან ერთად ჩატარებული ხანგრძლივი ექსპერიმენტების შედეგად, თითქმის დავიწყებული რეცეპტები ხელახლა შეიქმნა.



FROM THE AUTHOR

It was love and gratitude for Georgian culture and traditions, and for my beloved native land that this book was inspired by. My main goal was to preserve the magnificent, centuries-old experience of Georgian craftsmanship for future generations, which is still kept alive in Pshavi.

The artisanal handicraft of Pshavi, which involves a rather long process ranging from wool washing to wool weaving, is an integral component of long-established traditions of sheep farming. Producing natural dyes is one of the most crucial elements in the process. These colours are essential in determining the quality and beauty of Pshavian handicrafts and their replication with chemical dyes is unacceptable.

I was born and raised in Pshavi. My grandmothers were skilled artisans. My mother, Ketevan Chamauri, founded the first handicraft workshop in the Magharoskari village school. I developed a special interest in this activity early on in my childhood, and I later began exploring more on crafts and natural dyes. I visited the local elders and recorded everything they could recall.

Outstanding masters of handiwork, such as Salome Tandilashvili, Nino Kistauri, Tamar Butkhashvili, Mariam Nakeuri, Salome Pitskhelauri, Mariam Turmanauli, Tamar Nakeuri, Tekle Mchedluri, Tamar Tskipashvili and Deduna Bekurauli imparted all of their knowledge and expertise to me. My father, Mikheil Nakeuri, made a particularly significant contribution to the compilation of the book materials. Numerous time-consuming experiments that we conducted together led to the rediscovery and recreation of nearly forgotten recipes.





ტრადიციული რეწვის შესახებ საქართველოში საკმაოდ საინტერესო სამეცნიერო ლიტერატურაა ხელმისაწვდომი (ივანე ჯავახიშვილი, სერგი მაკალათია, ლევან ბოძაშვილი, ლეილა მოლოდინი, ნანული აზიკური), მაგრამ მათში ფშავური ხელსაქმის შესახებ, სამწუხაროდ, მწირი ინფორმაციაა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემ მიერ მოძიებული მასალები მომეწესრიგებინა და მკითხველისათვის გამეცნო.

შემდეგი და შესაძლებელი მასალების დოზებს ჩემი 25-წლიანი ექსპერიმენტებიდან და პრაქტიკიდან გთავაზობთ. ფერების ვიზუალიზაციაც ამ ექსპერიმენტებს ეყრდნობა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საღებავისა და ფერის მიღება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების ერთობლიობაზეა დამოკიდებული — ამინდი, მცენარის მოკრეფის დრო, ფერმჭერის ხარისხი, ღებვის რეჟიმი, ასევე, თქვენი გამოცდილება და გემოვნება. ამიტომ, ყოველთვის ერთნაირი შედეგი არ გექნებათ. თუმცა, შემოქმედების მთელი ხიბლიც ხომ ესაა.

მცენარეული საღებავების შეგროვებისა და ღებვის ტრადიციას მეტნაკლებად ჯერ კიდევ ყველა კუთხეში მისდევენ. ამიტომ, მცენარეთა ქართულ და ლათინურ სახელწოდებებთან ერთად, ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკური ლექსიკონიდან“ ის სახელებიც ამოვწერე, რითიც ამ მცენარეებს სხვადასხვა კუთხეში იცნობენ.

თ. ნაყური-დათაშვილი



Ivane Javakhishvili, Sergi Makalatia, Levan Bodzashvili, Leila Molodini, and Nanuli Azikuri are among the authors of some fascinating scientific literature that is available in Georgia about traditional handicrafts but, unfortunately, information specifically about Pshavian handicrafts can scarcely be found. This is why I decided to collect all valuable information and materials I was able to discover, and present them to the reader.

The doses of dyes and colouring materials offered in the book are based on my 25 years of practice and experimentation. Colour visualization is also founded on these experiments. The reader should be aware that the final dye and colour product depends on a combination of factors — both subjective and objective, including the weather, the time of plant harvesting, the quality of the mordant, the dyeing method, as well as one's personal preference, experience and taste. Therefore, you may not always get the same outcome. However, this is precisely where the appeal of creativity lies, after all.

The custom of dyeing and collecting herbal dyes is still largely practiced in all corners of the country. Therefore, along with the Georgian and Latin names of the species, I used the names by which the plants are known in various locales, as recorded in the Botanical Dictionary by Aleksandre Makashvili.

T. Nakeuri — Datashvili





შესავალი

წინამდებარე წიგნში მოცემულია საქართველოს ტყეებში გავრცელებული სამღებრო მცენარეების მოკლე დახასიათება და სპეციალური ლიტერატურიდან ამოკრეფილი წესები ღებვის შესახებ, რომლებიც გამოცდილი და დამუშავებულია ავტორის მიერ.

ბუნებრივი საღებავების წარმოება საქართველოს ცალკეული კუთხეების კულტურისა და ავთენტურობის ნაწილია. მთაში დღემდე შემორჩენილ ტრადიციულ მეურნეობებში ქსოვილი არა მხოლოდ იღებება, არამედ ადგილზევე იქმნება. ფარდაგ-ხალიჩებისა და სამოსის დამზადების უწყვეტი ტრადიცია და პრაქტიკული ცოდნა მაღალი ღირებულების პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნის შესაძლებლობებს იძლევა.

კაკლის, თრიმლის, ენდროს, ხაქოლის, თავშავას, კრაზანას, ჯანგაროსა და ბევრი სხვა მცენარის ფოთლებით, ყვავილებით, მერქნით თუ ფესვებით მიღებული ბუნებრივი ფერებიდან გამოყოფენ წითელს, შავს, მწვანეს, ყავისფერს, ლურჯს და ყვითელს. ცალკე გამოიყოფა გარდამავალი ფერები: ალისფერი, რუხი (ნაცრისფერი), წყლისფერი, მტრედისფერი, ნავთისფერი, ლილისფერი და შინდისფერი (ბორდოსფერი).

ღებვის ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რითი იღებება, არამედ იმაზეც, თუ რა იღებება. ამ თვალსაზრისით, მატყლის სამ სახეობას განასხვავებენ: გაზაფხულის (რისვი), შემოდგომის და ბატკნის მატყლი (კრაველი). ღებვას კარგად ემორჩილება რისვი და კრაველი. კრაველი ყველაზე უკეთ იღებება და ხარისხიანი ძაფი მიიღება.

საღებავი მცენარეები გროვდება ივლისიდან ყინვების დაწყებამდე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნედლეულის შეგროვების, შრობისა და შენახვის ტექნოლოგიას. აუცილებელია, ნედლეული გაშრეს ჩრდილში და ისეთ შენობაში, რომელიც კარგად ნიავე-



INTRODUCTION

This book provides a comprehensive description of the most common dyeing plants found in Georgian forest ecosystems and introduces the reader to essential dyeing guidelines that have been outlined in various works of literature as well as in this book, tested and refined by the author.

Producing natural dyes have long been an intrinsic part of Georgian culture and the authenticity of many corners of Georgia. Still present in the highlands of Georgia today, fabrics are not only dyed, but also created on the spot on traditional farms. The long-standing tradition and practical know-how of making rugs, carpets and garments open doors to producing high-value products and services.

The natural colours obtained from the leaves, blossoms, wood, and roots of many different plants, including walnut, dyer's sumach, dyer's madder, alpine knotweed, oregano, St. John's wort, and common greenshield lichen, are distinguished as the primary colours of red, black, green, brown, blue, and yellow. Complementary hues such as scarlet, grey, aqua, dove, kerosene, lilac, and burgundy make up a separate range.

Dyeing quality is influenced by both what is dyed and what it is dyed with. With this in mind, three different varieties of wool can be identified: spring wool, autumn wool and lamb's wool (virgin wool). Spring wool and lamb's wool are excellent dyeing materials. Lamb's wool is best suited for dyeing and results in quality thread.

Plants used for dyeing are collected from July until the first frost strikes. The technology used for raw material collection, drying and storage are all essential in the dyeing process. The raw material must be dried in the shade and in a building that is well-ventilated, such as an attic or a shed. The plant to be used as a dye should be kept for a maximum of 1-3 years, after which





ბა, მაგალითად, სხვენში ან ფარდულში. საღებავად გამოსაყენებელი მცენარე ინახება 1-3 წელი, რის მერეც ფერის ინტენსივობა იკლებს. საუკეთესო შედეგი მიიღება ახლად მოკრეფილ ნედლეულში შეღებვით.

სხვადასხვა მცენარეს განსხვავებული ფერმჭერი და დოზირება სჭირდება.

ფერმჭერებია:

- ნაცართვალი (მზადდება ნებისმიერი ხის ნაცრისგან. საუკეთესოა არყის ხის ნაცარი);
- თეთრი შაბი;
- შაბიამანი;
- ძროხის შარდი;
- ძალა (რკინის შაბიამანი);
- ტუტა (მზადდება ნაცრით, არყის ხის ნაცარი საუკეთესოა).

ფერმჭერის დახმარებით შეღებილი მასალა აღარ ხუნდება. ღია ფერის მისაღებად თეთრი შაბი გამოიყენება, მუქი ფერებისთვის კი – ნაცართვალი ან ძალა. ნაცართვალი შემდეგნაირად მზადდება: წყალში ყრიან ნაცარს და მიყავთ ადულებამდე, კარგად მოურევინ და გააჩერებენ მანამ, სანამ ნაცარი არ დაილექება, ზემოდან კი სუფთა წყალი არ დარჩება. სწორედ ეს სუფთა წყალია ნაცართვალი. იმისთვის, რომ ზედმეტად ინტენსიურმა (ცხარე) ნაცართვალმა ძაფი არ დაწვას, შემოწმება და სუფთა წყლის დამატებაა საჭირო. გასათვალისწინებელია, რომ ფერმჭერი ყველა მცენარეს არ სჭირდება, მაგალითად, კაკლის წენგოში ღებვას, ვაშლის ქერქში ღებვას და სხვ.

შავი ფერი ყოველთვის ორჯერ ღებვით მიიღება, მაგალითად, თავშავასა და ძალაში. თავშავაში შეღებვას „დედება“ ქვია. პირველ ეტაპზე ქსოვილს „ადედევენ“ და შემდეგ, ძალას დამატებით, უკვე შავად ღებავენ.

შესაღები ჭურჭელი აუცილებლად უნდა იყოს მომინანქრებული ან თუჯის. შავად ან ყავისფრად შეღებვის დროს ასევე გამოდგება სპილენძის ქვაბიც, სხვა ფერის მისაღებად კი, აუცილებლად მოკალული უნდა იყოს.



its ability to produce intense colours decreases. The best results are obtained when dyeing with freshly harvested raw materials.

Different plants need different doses of dyes and mordants or dye fixatives.

The following are the most commonly applied mordants:

- ash (made from the ash of any tree; birch wood ash is the best for this purpose);
- white alum;
- copper sulphate;
- iron sulphate;
- wood ash water (solution made with wood ash; birch tree ash is regarded as best).

The material that has been dyed with the help of a mordant will barely fade. White alum is utilized to obtain lighter colours, while ash or iron sulphate is used for dark colours. Ash solution is prepared as follows: ash is added to water and brought to a boil, then stirred well and left until the ash settles and clean water remains on top. This pure water is what can later be used as a dye fixative. In order to prevent the mordant from being too intense, which may result in the thread being burned, it is vital that the solution is carefully checked and, should the need arise, more clean water is added. It should be taken into account that not all plants require dye fixatives, for example, dyeing with walnut husks or apple tree barks. A black colour is always obtained by dyeing twice, for example, in oregano and iron sulphate. Dyeing with oregano is called “fermentation”. During the first stage, the fabric is “fermented” and only later is it dyed black by adding iron sulphate.

It is essential that dye vessels be enamelled or cast iron. When dyeing in black or brown, a copper pot can also be used, but to get any other colour, it must be tempered.

Before being dyed, the thread is twisted into skeins and hanks, and then either brought to a boil or boiled in ash mordant or white alum water.



















ლებვის წინ ძაფს ხიფებად (შულოებად) ახვევენ, შემდეგ კი ნაცარ-
თვალში ან თეთრ შაბიან წყალში წამოადულებენ ან ადულებამდე
მიყავთ.

გთავაზობთ იმ მცენარეების არასრულ სიას, რომლებიც გამოი-
ყენება შალის, აბრეშუმისა და მატყლის ბუნებრივი საღებავებით
ლებვისას:

1. ანწლი – *Sambucus edulus*
2. ბროწეული – *Punica granatum*
3. გვირილა – *Matricaria sp.*
4. დეკა – *Rhododendron caucasicum*
5. ენდრო – *Rubia tinctorum*
6. ვირისტერფა – *Tussilago farfara*
7. თავშავა – *Origanum vulgare*
8. თუთა – *Morus alba*
9. თრიმლი – *Cotinus coggygria*
10. კაკალი – *Juglans regia*
11. ჩვეულებრივი კონახური – *Berberis vulgaris*
12. კრაზანა – *Hypericum perforatum*
13. ლაფნის ქერქი – *Pterocarya pterocarpa*
14. მარმუჭი – *Alchimilla vulgaris*
15. მოცვი – *Vaccinium sp.*
16. მურყანი – *Alnus incana*
17. მუხა – *Quercus iberica*
18. ჯანგა – მღიერი – ქვის ხახვი – *Parmelia caperata*
19. რძიანა – *Euphorbia sp.*
20. სოსანი – *Consolida orientalis*
21. ტუხტი ყვითელი – *Althaea officinalis*
22. ყაყაჩო – *Papaver rhoeas*
23. ცაცხვი – *Tilia cordata*
24. ჭინჭარი – *Urtica dioica*
25. ჭნავი – ცირცელი – *Sorbus caucasigena*
26. ხახვის ფურცელი – *Allium cera*
27. ხაქოლი – *Polygonum alpinum*



Here is a non-exhaustive list of plants used in dyeing wool, silk and fleece with natural dyes:

- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
- 
1. Elderberry – *Sambucus edulus*
 2. Pomegranate – *Punica granatum*
 3. Chamomile – *Matricaria sp.*
 4. Caucasian rhododendron or the Georgian snow rose – *Rhododendron caucasicum*
 5. Dyer's madder – *Rubia tinctorum*
 6. Coltsfoot – *Tussilago farfara*
 7. Oregano – *Origanum vulgare*
 8. Mulberry – *Morus alba*
 9. European smoketree or dyer's sumach – *Cotinus coggygria*
 10. Common Walnut – *Juglans regia*
 11. Common barberry – *Berberis vulgaris*
 12. St. John's wort – *Hypericum perforatum*
 13. Caucasian wingnut bark – *Pterocarya pterocarpa*
 14. Lady's mantle – *Alchimilla vulgaris*
 15. Blueberry – *Vaccinicum sp.*
 16. Gray alder – *Alnus incana*
 17. Oak – *Quercus iberica*
 18. Common greenshield lichen – *Parmelia caperata*
 19. Spurges – *Euphorbia sp.*
 20. Eastern larkspur – *Consolida orientalis*
 21. Marshmallow plant – *Althaea officinalis*
 22. Poppy – *Papaver rhoeas*
 23. Lime flower – *Tilia cordata*
 24. Nettle – *Urtica dioica*
 25. Sorbus – Mountain ash – *Sorbus caucasigena*
 26. Onion leaf – *Allium cera*
 27. Alpine knotweed – *Polygonum alpinum*





სადუბავი
მცენარეები
ფშავში



DYEING PLANTS
IN PSHAVI

ანწლი *Danewort – antsli – Sambucus ebulus*



ღებავს ლურჯად და რუხად

ანწლი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ხარობს. ნაყოფი შემოდის სექტემბერ-ოქტომბერში. შესაღებ მასალად გამოიყენება მწიფე ნაყოფი.

შეღების წესი: მოკრეფილ ნაყოფს ქყლეტენ, ასხამენ წყალს და ადუღებენ. შემდეგ ზურავენ დოლბანდის პარკში, იმდენს, რამდენიც ძაფს ეყოფა. ჩააყრიან ძალას და ასე შეღებავენ. მიიღება ნავთისფერი – გარდამავალი რუხი, მოლურჯო – რუხი ლურჯი. სასურველი ფერის მიღების შემდეგ აგდებენ გამდინარე ცივ წყალში და აშრობენ ჩრდილში.

სასარგებლო თვისებები: ანწლი გამოიყენება ფიტოფარმაკოლოგიაშიც. ფშავში მწიფე ნაყოფისგან არაყსაც ხდიან.

Dyes blue and grey

Danewort flourishes in almost every Georgian region. The berry season is in September-October. Ripe berries are used for dyeing material. The berries must be harvested, crushed, have water poured over them, and be boiled. Following this, the berries are to be strained in a cheesecloth sack, enough for several skeins. The skeins are then thrown into some iron vitriol and are dyed in this manner. The colours yielded are off-white to transitional grey, dark blue to greyish blue. After obtaining the desired colour, the skeins are tossed in flowing cold water and then dried in the shade. Danewort is also used in phytopharmacology. In Pshavi, alcohol is also distilled from ripe danewort berries.

მასალა:

INGREDIENTS:

ანწლი – 3-4 კგ

ძაფი – 500 გ

ძაღა – 150-170 გ

წყალი – იმდენი, რომ
შესაღები მასალა შიგ კარგად
ლივლივებდეს.

Danewort – 3-4 kg

Yarn – 500 g

Iron vitriol – 150-170 g

Water – enough needed to dye, the
material to be dyed must float well in
the water.

ადგილობრივი სახელები:

- ✱ გურია და იმერეთი – ანწლიკა
- ✱ ლაზეთი – ანწლი, ინჭირა, ინჭირი
- ✱ სამეგრელო – ინჭირია, ინჭილია, ინჭირა
- ✱ სვანეთი – განჭვ

LOCAL NAMES:

- ✱ Guria-Imereti – *antslika*
- ✱ Lazeti – *antsli, inchira, inchiri*
- ✱ Samegrelo – *inchiria, inchilia, inchira*
- ✱ Svaneti – *ganchv*



ბროწეული Pomegranate – *brotseuli* – *Punica granatum*



ღებავს შავად

ბროწეული გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება 3-4 მ სიმაღლის. ყვავის აგვისტო-სექტემბერში ალისფერი ყვავილებით. ნაყოფს იძლევა გვიან შემოდგომაზე. საღებავად გამოიყენება როგორც მცენარის, ასევე ნაყოფის ქერქი. ბროწეულის ნაყოფისა და ღერო-ტოტების ნახარში გამოიყენება შალის ნაწარმის შავად შესაღებად.

შეღების წესი: ბროწეულის ქერქს მოხარშავენ, მდულარეში ჩადებენ შაბში წინასწარ გამოყვანილ შესაღებ მასალას (ძაფი, მატყლი), დატოვებენ ერთი დღე-ღამის განმავლობაში და კიდევ მოადუღებენ. მიიღება ყავისფერი. თუ შაბის ნაცვლად დავუმატებთ ძაღას, მივიღებთ შავს.

სასარგებლო თვისებები: ბროწეული ფიტოფარმაკოლოგიაშიც გამოიყენება. სამკურნალოდ იყენებენ მის ღეროს, ტოტებსა და ფესვების ქერქს.

Dyes black

Pomegranate trees thrive in Kartl-Kakheti, growing to 3-4 m in height. It blooms in August-September with scarlet blossoms. The fruit is borne in late fall. Pomegranate bark as well as pomegranate rinds are used for dyeing. A decoction of pomegranate fruit, stems, and branches is used to dye wool products black.

The pomegranate rind is boiled and the material to be dyed (yarn, wool) is placed in the boiling mixture, having already been brought out of the alum. This yarn or wool is left in the pomegranate mixture for one day and night and is boiled once more. It comes out brown. If black is desired, then iron vitriol is added to dye it black.

Pomegranate is also used in phytopharmacology.

მასალა:

ბროწეულის ქერქი 0,5 კგ მშრ. 1,5 კგ
ნედლი ძაფი ან მატყლი – 400 გ
შაბი – 100 გ
ძაღა – 100 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Pomegranate rind – 0.5 kg dry, 1.5 kg wet
Yarn or wool – 400 g
Alum – 100 g
Iron vitriol – 100 g
Water – enough to cover this entire
mixture

ადგილობრივი სახელები:


- ✱ კახეთი (ქიზიყი) და აჭარა – ბროწოლი
- ✱ იმერეთი – ბერწოული, ბრეწოული, ბრაწოული
- ✱ გურია და რაჭა – ბროწოული
- ✱ საინგილო – ბროწოლ
- ✱ ლაზეთი – ბერწეული, ბრეწეული

LOCAL NAMES:

- ✱ Kakheti (Kiziki) and Achara – *brotsoli*
- ✱ Imereti – *bertsouli, bretsouli, bratsouli*
- ✱ Guria and Racha – *brotsouli*
- ✱ Saingilo – *brotsol*
- ✱ Lazeti – *bertseuli, bretseuli*



გვირილა Chamomile – *gvirila* – *Matricaria* sp.



ღებავს ღია ყვითლად, კანისფრად

გვირილა რთულყვავილოვანთა ოჯახის ერთწლიანი ბალახოვანი მცენარეა. მისი ღერო სწორად მდგომია, დატოტვილი, 35 სმ სიმაღლის. ბუნებაში გვირილა მრავალნაირია: სამედიცინო, დეკორატიული, ვარდისფერი და სხვა.

ღებვაში გამოიყენება სწორედ სამედიცინო გვირილა – მრავლად დატოტვილი და უხვყვავილიანი. ღებავს ღია ყვითლად ან კანისფრად თეთრ შაბთან ერთად.

შეღების წესი: ქურჭელში (უმჯობესია მომინანქრებული ქურჭელი) ფენა-ფენა ალაგებენ გვირილას და შესაღებ მასალას. ძაფი ან მატყლი უნდა იყოს დადედვილი (გამოხარშული) შაბნყალში. დგამენ ცეცხლზე და ადუღებენ სასურველი ფერის მიღებამდე. შემდეგ ავლებენ გამდინარე წყალში და აშრობენ ჩრდილში.

სასარგებლო თვისებები: გვირილა ფარმაცოლოგიაში ანტისეპტიკურ საშუალებად გამოიყენება.

Dyes light yellow to peach

Chamomile is an annual herbal plant of the Compositae family. Its stem stands up straight and branches out at 35 cm in height. There are many kinds of chamomile in nature: medicinal chamomile, decorative chamomile, pink chamomile, etc.

Medicinal chamomile is the kind used for dyeing. Branched and bearing abundant flowers, it dyes light yellow or peach along with white alum.

Dyeing method: the chamomile and the material to be coloured are placed in layers in a vessel – preferably an enamelled vessel. The yarn or wool must have been bleached in alum water (boiled alum water). The vessel is placed over a fire and boiled until the desired hue is obtained. After this the material is run through flowing water and dried in the shade.

Chamomile is used in pharmacology as an antiseptic.

მასალა:

გვირილა მშრ. 0,5 კგ
ნედლი 1-1,5 კგ
ძაფი, მატყლი – 0,5 კგ
შაბი – 120 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Chamomile – 0.5 kg dried, 1-1.5 kg raw
Yarn, wool – 0.5 kg
Alum – 120 g
Water – enough to cover the entire mixture
well so the material inside can be freely
dyed.

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ზემო იმერეთი – ირაგა
- ✱ ქვემო იმერეთი – ანაგრულა
- ✱ გურია – ქამენია, კამენია, ნაგვირულა
- ✱ მესხეთ-ჯავახეთი – ყვითელგულა, ჩიჩაგი
- ✱ მთის რაჭა – კაკული
- ✱ ქართლი – ზიზილა
- ✱ ხევი – აბზინდა
- ✱ თუშეთი – გვირილა, საჯარაი

LOCAL NAMES:

- ✱ Zemo Imereti – *iraga*
- ✱ Kvemo Imereti – *anagrula*
- ✱ Guria – *kamenia*, *nagvirula*
- ✱ Meskhet-Javakheti – *kvitelgula*, *chichagi*
- ✱ Mountainous Racha – *kakuli*
- ✱ Kartli – *zizila*
- ✱ Khevi – *abzinda*
- ✱ Tusheti – *gvirila*, *sajarai*



დეკა

Caucasian rhododendron – *Rhododendron caucasicum*



ღებავს ჟანგისფრად

დეკა მაღალმთიან ადგილებში, ალპურ ზონაში ხარობს. ეს მარადმწვანე ბუჩქი 1-1,5 მ სიმაღლის იზრდება. ყვავის მაის-ივნისში. სასურველია, შეგროვდეს ყვავილობის პერიოდში. ინახება 2-3 წელიწადს ისე, რომ არ კარგავს თვისებებს.

შეღებვის წესი: კარგად ადუღებენ დეკას და წყლის ნარევს, მასში ალბაგებენ გამოყვანილ ხიფებს და ადუღებენ სასურველი ფერის მიღებამდე. ბოლოს, კარგად რეცხავენ გამდინარე წყალში და აშრობენ ჩრდილში.

ხევისურეთში ყვითელი ფერის მისაღებად ფერმჭერად იყენებენ არა ნაცართვალს, არამედ თეთრ შაბს; ფშავში კი იღებენ ჟანგისფერს შაბიამნის დამატებით.

სასარგებლო თვისებები: დეკას საოცრად არომატულ ნაყენს ფშავში ჩაის სახით მიირთმევენ.

Dyes rust-coloured

Caucasian rhododendron flourish in high mountainous regions in the alpine zone. It is an evergreen fruticose plant. It grows 1-1.5 m high. The plant flowers in May-June. It's best collected during the blooming period. It can be kept for 2-3 years without losing its properties.

Dyeing method: the rhododendron and water mixture is boiled well. After this the skeins are placed in this mixture. They are boiled until the desired hue is obtained. Following this, the skeins are rinsed well in flowing water and dried in the shade.

Rhododendron is used as a tea in Pshavi, it's a wonderfully aromatic tea.

In Khevsureti, rhododendron is used as a yellow dye, except if yellow is the desired colour, then lye is not used as a mordant, white alum is used instead. In Pshavi, rhododendron is used as a rust-coloured dye with the addition of blue vitriol.

მასალა:

3-4 კგ ახალი მოკრეფილი დეკა =
1 კგ მშრალი
0,5 კგ შაბი (შესაღები მასალის
მეოთხედი)

INGREDIENTS:

Rhododendron – 3-4 kg freshly picked =
1 kg dried
Alum – 0.5 kg (the alum must be a fourth
of the material to be coloured)

ადგილობრივი სახელები:

- ✳ იმერეთი და გურია – შქერი, შკერი
- ✳ სამეგრელო – ხვამცა, ხვანცა
- ✳ სვანეთი – ზიშხორა

LOCAL NAMES:

- ✳ Imereti-Guria – *shkeri*
- ✳ Samegrelo – *khvantsa, khvantsa*
- ✳ Svaneti – *zishkhora*



ენდრო

Madder – endro – Rubia tinctorum



ღებავს წითლად

24

ენდრო მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა საკმაოდ ძლიერი და სიღრმეში დატოტვილი მთავარი ფესვით. საღებავად სწორედ მისი ფესვები გამოიყენება. ძირითადად, მოიპოვება ქართლ-კახეთსა და მესხეთ-ჯავახეთში. ყვავილს ივნისში იკეთებს, ნაყოფი კი მწიფდება აგვისტოში.

ნედლეულად ამზადებენ ენდროს ფესურასა და ფესვებს, გაზაფხულზე, მარტ-აპრილში, ან ვეგეტაციის ბოლოს – სექტემბრიდან ყინვის დაწყებამდე. შეგროვილ ნედლეულს აცლიან მიწას ფესვების დაბერტყვის გზით და გამოსაშრობად შლიან თხელ ფენად ჩრდილში, ფარდულში ან სხვენში.

ენდროს ფესვები შეიცავს 5-6% საღებავ ნივთიერებებს (ოქსიმეთილსა და ოქსიანტრაქინონებს). მას ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში იყენებდნენ როგორც ქსოვილის (შალი, ბამბა), ისე სააღდგომო კვერცხების შესაღებად.

შეღების წესი: ენდროს ფხეკენ, ჩეჩავენ, ასხამენ იმდენ წყალს, რომ კარგად ფარავდეს მას და კარგად ადულებენ. მიღებულ საღებავში კი აწყობენ შაბიან წყალში ამოვლებულ ძაფს ან მატყლს (250 გ 1 კგ ძაფზე) და ადულებენ სასურველი ფერის მიღებამდე. ამოღების შემდეგ ავლებენ ცივ წყალში და ამრობენ ჩრდილში.

სასარგებლო თვისებები: ენდრო ფართოდ გამოიყენება კულინარიასა და ფიტოფარმაკოლოგიაში.

Dyes red

Madder is a perennial herbaceous plant. The main root is quite strong and branched deep in the soil. The roots are used for dyeing. Madder is primarily found in Kartli, Kakheti, and Javakhet-Akhaltzikhe. It flowers in June and the fruit ripens in August.

Madder rhizomes and roots are prepared as raw material in spring, March-April, or at the end of vegetation – from September to the first frost. The raw material must be shaken free of soil and then dried in thin layers spread out in the shade in a shed or loft.

Madder roots contain 5-6% dyeing compounds (oxymethyl and oxy-anthraquinones). In the Middle Ages, madder was first used to dye textiles (wool, cotton), as well as Easter eggs.

Madder is also used in phytopharmacology, mostly to treat phosphoric acid, magnesium, and calcium calculous diseases.

Dyeing method: The madder is scrubbed clean, carded, and has water poured over it so it is well covered, then it is boiled for a good while. After this, yarn or wool that has been soaked in alum water is placed into this dye (250 g for 1 kg of yarn). The material is put on a good boil until the desired hue is obtained. This material is then taken out, dipped in cold water, and dried in the shade. Madder is used to dye Easter eggs and in the culinary arts.

მასალა:

ენდრო – 5 წილი ძაფი ან მატყლი – 1 წილი
წყალი – იმდენი, რომ კარგად ფარავდეს
შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Madder – 5 parts
Yarn or wool – 1 part
Water – enough to cover

ადგილობრივი სახელები:

- ✱ კახეთი და იმერეთი – საფერავი
- ✱ გურია და იმერეთი – ფერა-ფერა
- ✱ ლეჩხუმი – მეფერვი
- ✱ რაჭა – ფერუა
- ✱ აჭარა – ჭაყურტა
- ✱ სამეგრელო – ჯამფეზია, ჯათვეზია, ჯაფაზია
- ✱ სვანეთი – ჯამფეზ
- ✱ ხევსურეთი – ხევსურის ლილა

LOCAL NAMES:

- ✱ Kakheti-Imereti – saperavi
- ✱ Guria-Imereti – pera-pera
- ✱ Lechkhumi – mepervie
- ✱ Racha – perua
- ✱ Achara – chakurta
- ✱ Samegrelo – jampezia, jatvezia, japazia
- ✱ Svaneti – jampez
- ✱ Khevsureti – khevsuris lila

ვირისტერფა

Coltsfoot – *viristerpa* – *Tussilago farfara*



ღებავს მწვანედ (ქაობისფრად)

26

ვირისტერფა მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რთულყვავილოვანთა ოჯახისა. სიმაღლით 10-25 სმ-ს აღწევს. მისი ფესურა წვრილი და გრძელია, მცოცავი, დატოტვილი. ყვავილის ღერო სწორად მდგომია, დაფარულია მოწაბლისფრო ფოთლებით. ფესვთან განლაგებული ფოთლები მცენარის დაყვავილების შემდეგ ჩნდება. კიდევში არათანაბრად დაკბილული ფოთლები ზემოდან მუქი მწვანეა, ქვემოდან კი ქეჩისებრი, ვერცხლისფერი ბუსუსებითაა შებურვილი. ფოთლები სრულად ვითარდება მაისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში. ყვავილები ყვითელია, ყვავილობს მარტ-აპრილში.

შეღებვის წესი: საღებავად იყენებენ ფოთლებს, რომლებსაც ზაფხულის პირველ ნახევარში კრეფენ და ფარდულში აშრობენ. შენახვის ვადა 2 წელია. მასში შეღებვით იღებენ ყვითელს, მომწვანო ყვითელს, ხოლო ორჯერ შეღებვის შემთხვევაში შაბიამანთან ერთად – მწვანეს.

სასარგებლო თვისებები: ვირისტერფა გამოიყენება ფიტოფარმაკოლოგიასა და ხალხურ მედიცინაში.

Dyes green (a swampy green hue)

Coltsfoot is a perennial herbaceous plant of the Compositae family. It reaches 10-25cm in height. It has long, slender, creeping, branched rhizomes. The flower stem stands straight and is covered with chestnut-coloured leaves. Leaves by the root appear after the plant has flowered. The leaf edges are unevenly dentated, being dark green on top and covered with pannose, silver indumentum on the bottom. The leaves are fully developed at the end of May or beginning of July. Coltsfoot flowers are yellow and appear in March-April. The plant is used in phytopharmacology. Coltsfoot is known in folk medicine as an expectorant, with a decoction being made of its flowers and leaves.

The leaves are used for dyeing, which are picked in the first half of summer and dried in a covered area. They can be stored for 2 years. Coltsfoot dyes yellow, greenish yellow, whereas in the case of a double dyeing process, it dyes green along with blue vitriol.

მასალა:

ვირისტერფა 4 კგ ნედლი
1 კგ მშრალი ძაფი,
მატყელი 0,5 კგ
შაბიამანი – 0,5 კგ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Coltsfoot – 4 kg of fresh material, 1 kg dry
Yarn, wool – 0.5 kg
Blue vitriol – 0.5 kg
Water – enough to cover material to be
dyed.

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ქართლი – ჯორისქულა, პირბამბა, ხავერდა
- ✱ ხევი – თეთრი ბუერა
- ✱ ფშავი – ვირისტერფა, ტერფა ბუერა, თაფყვაგვილა
- ✱ ხევსურეთი – ცხენისტერფა
- ✱ თუშეთი – დათვიბუერა
- ✱ აჭარა – გულბამბა, პირბამბა
- ✱ გარე კახეთი – ტირიფი
- ✱ ერწო – დათვისტერფა

LOCAL NAMES:

- ✱ Kartli – *zoriskula, pirbamba, khaverda*
- ✱ Khevi – *tetri buera*
- ✱ Pshavi – *viristerpa, terpa buera, tavkvavila*
- ✱ Khevsureti – *tskhenisterpa*
- ✱ Tusheti – *datvibuera*
- ✱ Achara – *gulbamba, pirbamba*
- ✱ Garekakhethi – *tiripi*
- ✱ Ertso – *datvisterpa*

თავშავა

Marjoram – *tavshava* – *Origanum vulgare*



ღებავს შავად


თავშავა მრავალწლიანი სურნელოვანი ბალახოვანი მცენარეა მიწისქვეშა დატოტვილი ფესურით. იგი გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. იზრდება ველობებში, ტყის პირებში, მშრალ ღია ადგილებში ბუჩქებს შორის. საღებავად გამოიყენება მცენარის ღერო და ყვავილი.

ნედლეულს აგროვებენ ყვავილობის პერიოდში – ივლის-აგვისტოში, მშრალ ამინდში. აშრობენ ჩრდილში, შენობაში, ან ფარდულში, რომელიც კარგად ნიავედა.

შეღებვის წესი: თავშავათი ღებვისას ფერმჭერად იყენებენ ნაცრის ტუტას – ხსნარს, რომელიც მზადდება შემდეგნაირად: ადულებენ ნაცარსა და წყალს 1:5 პროპორციით მანამ, სანამ ორჯერ არ დააშრება წყალი. ტუტა მზად იქნება მას მერე, რაც მესამედ გახდება წყლის დასხმა საჭირო. მიღებულ ხსნარში ასველებენ შესაღებ მასალას და იწყებენ ღებვას. თავშავასა და შესაღები მასალის შეფარდება უნდა იყოს 1:5. ე.ი. ძაფს ან მატყლს 5-ჯერ უნდა აღემატებოდეს ნედლი თავშავა.

თუჯის ან მომინანქრებულ ჭურჭელში აწყობენ თავშავას, შემდეგ – ძაფს ან მატყლს, შემდეგ – ისევ თავშავას და ასე მონაცვლეობით, ფენა-ფენა.

წყალს ასხამენ იმდენს, რომ ფენებს კარგად ფარავდეს. შავი ფერის მისაღებად იღებება ორ ეტაპად – 1. მარტო თავშავაში, 2. მის შემდეგ წიდასთან და ძაღასთან ერთად. თავშავას და შესაღებ მასალას ადულებენ 10-12 საათს.



Dyes black

The best means to dye something black is marjoram, which was used in almost every region. This herb was known by various regional names.

Marjoram is a perennial, aromatic, herbaceous plant with branched rhizomes underground. It is found almost everywhere in Georgia. The plant grows in fields, at the edge of forests, and among bushes in arid, open spaces. Marjoram stems and flowers are used to dye.

The raw material is gathered during the flowering period, in July-August during dry weather. It is dried out in the shade in a building or shed with good air circulation.

When dyeing with marjoram, ash lye is used as a mordant. The lye is a solution prepared in the following manner: ash and water are used with a 1:5 ratio and then boiled. The water is drained from it two times. When water is poured over for a third time, this is already lye. The material to be dyed is wetted in this solution and then dyed after this. We take marjoram, water, and a cast iron or enamelled vessel. The marjoram is used in a 1:5 ratio with the material to be dyed; there must be five times more marjoram than yarn or wool.

The marjoram is placed in the cauldron, then either the yarn or wool, then more marjoram, and so on, layer by layer.

Enough water is poured on top to cover all these layers well. Dyeing takes place in two stages to obtain a black hue: 1. Only in marjoram, 2. Then with the slag and iron vitriol together. The marjoram and material to be dyed are boiled over the course of 10-12 hours. Then the material is taken out and the liquid is



შემდეგ ამოიღებენ, გადაწურავენ და ამ წვენში ჩააწყობენ თავშავაში შეღებილ ძაფს. ადუღებენ 15-20 წუთს, ამოალაგებენ ძაფს და მზეზე ატრიალებენ, რომ არ აჭრელდეს. მზეზე საოცარ სიმკვეთრეს იძენს ძაფიც და მატყლიც. ღამით ისევ ჩაალაგებენ. ეს პროცედურები გრძელდება სასურველი შავი ფერის მიღებამდე. ბოლოს ავლებენ ცივ წყალში და აშრობენ ჩრდილში. თავშავაში ღებვის წესი სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირი იყო. შავად ღებავს ბროწეული-სა და შავი მურყნის ქერქიც, მუხისა და იფნის ქერქიც ერთად და კაკლის ფოთოლი, ქერქი და წენგო ერთად; ასევე – ხაქოლიც, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ფერმჭერად თეთრი შაბის ნაცვლად გამოიყენება ნაცართვალი.

სასარგებლო თვისებები: ფშავში თავშავას მიირთმევენ ჩაის სახით, იყენებენ ფიტოფარმაკოლოგიაშიც.



wrung out. We place the yarn dyed in the marjoram in this liquid and boil it for 15-20 minutes. After this, the yarn is taken out and placed in the sun, and then we turn the yarn so it doesn't get mottled. Yarn and wool take on amazingly vivid hues in the sunlight. At night they are placed in the liquid again. This process of placing them in the sun and putting them in the liquid is continues until we get the desired black colour. After this, we rinse the material in cold water and dry it in the shade.

The method of dyeing in marjoram varied in every region. Pomegranate rind and black alder bark together, as well as oak and ash bark together, or a combination of walnut leaves, bark, and rinds also dye black. Alpine knotweed also yields a black dye, but instead of white alum, lye is used as the mordant.

In Pshavi, marjoram is used as a tea and is also employed in phytopharmacology.

მასალა:

INGREDIENTS:

თავშავა – 4-5 კგ
ძაფი-მატყელი – 1 კგ
ძალა – 150-200 გ

Marjoram – 4-5 kg Yarn,
wool – 1 kg
Iron vitriol – 150-200 g

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ქართლი – შავბალახა
- ✱ მესხეთი – ლეილაღა, მარმიჭი
- ✱ ლანჩხუთი – თავყვავილა
- ✱ ზემო რაჭა – ჩაის პიტნა
- ✱ ხევი – ოსური ჩაი
- ✱ აჭარა – ისხანი, ჩაიოთი-ჩაიოთი

LOCAL NAMES:

- ✱ Kartli – shavbalakha
- ✱ Meskheta – leilagha, marmichi
- ✱ Lanchkhuti – tavkvavila
- ✱ Zemo Racha – chais pitna
- ✱ Khevi – osuri chai
- ✱ Achara – iskhani, chaioti-chaioti

თუთა Mulberry – *tuta* – *Morus alba*



ღებავს ყვითლად

თუთა საქართველოში, უმეტესად, მესხეთსა და ქართლ-კახეთში გვხვდება. შესაღებად გამოიყენება ახალმოკრეფილი (უმჯობესია) ფოთოლი.

შეღების წესი: დაახლოებით 2 კგ თუთის ფოთოლს ასხამენ 7-8 ლ წყალს და ხარშავენ. ფოთლის ამოღების შემდეგ ნახარშში ყრიან იმავე რაოდენობის ფოთოლს, ასე იქცევიან მესამედამდე. ბოლოს ნახარშში ყრიან ტუტაში (ნაცართვალში გახსნილი საპონი) ან თეთრ შაბნყალში გამოსარშულ ძაფს ან მატყლს და სასურველი ფერის მიღებამდე ადულებენ. ყვითლის სხვადასხვა ტონის მისაღებად შესაღებ მასალას სხვადასხვა დროს იღებენ საღებავიდან. წურავენ, რეცხავენ და ჩრდილში აშრობენ.

Dyes green (a swampy green hue)

In Georgia, mulberries are mostly found in Meskheta and Kartli-Kakheti. The leaves are used to dye, and freshly picked ones are the best.

Dyeing method: About 2 kg of mulberry leaves are used, 7-8 litres of water is poured over them, and the mix is boiled. These leaves are strained out and the same number of new leaves is added to this decoction. This process is repeated a third time. After this, yarn or wool boiled in either soap mixed in lye

or in alum water is thrown into this decoction and is boiled until the desired hue is obtained. If different shades of yellow are desired, the material to be dyed is taken out of the dye at various times. It is wrung out, washed, and dried in the shade.

მასალა:

5-6 კგ ფოთოლი
1 კგ შესაღები მასალა წყალი
– იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Mulberry leaves – 5-6 kg
Material to be dyed – 1 kg
Water – enough to cover the
material well

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ქართლ-კახეთი – ფურცელთუთა, მჭადა, ფურცელი
- ✱ იმერეთი – ბჟოლა, ჯორაბჟოლა
- ✱ რაჭა-ლეჩხუმი – ბჟოლა
- ✱ გურია – ბჟული
- ✱ აჭარა – ჟოლი
- ✱ საინგილო – მამალ გაჰრაი, ჯალღა
- ✱ სამეგრელო – ბჟული, მჟოლი, ჯამპი, ჯაპი
- ✱ ლაზეთი – მჟოლი
- ✱ ქიზიყი – ჯალღა

LOCAL NAMES:

- ✱ Kartl-Kakheti – purtseltuta, mchada, purtseli
- ✱ Imereti – bzhola, jorabzhola
- ✱ Racha-Lechkhumi – bzhola
- ✱ Guria – bzhuli
- ✱ Achara – joli
- ✱ Saingilo – mamal gahrai, zhalga
- ✱ Samegrelo – bzhuli, mzholi, jampi, japi
- ✱ Lazeti – mzholi
- ✱ Kiziki – jalgha



თრიმლი Sumac – trimli – *Cotinus coggygia*



ღებავს ნარინჯისფრად

თრიმლი თუთუბოსებრთა ოჯახის ბუჩქოვანი მცენარეა, რომელიც სიმაღლეში 2-3 მეტრი იზრდება. ღეროზე მონაცვლეობით განლაგებული მომწვანო-მოლურჯო კვერცხისებრი ფოთლების სიგრძე 3-8 სმ-ს, სიგანე კი 3-7 სმ-ს აღწევს და 15-25 % მათრობელა ნივთიერებას შეიცავს. შეუხედავი, მომწვანო-თეთრი ყვავილები საგველა თანაყვავილეებშია შეკრებილი. თრიმლი ყვავილობს მაის-ივნისში.

შესაღებად იყენებენ თრიმლის ყლორტებს, ქერქსა და გულს. ღებავს ცეცხლისფრად ანუ ნარინჯისფრად.

შეღებვის წესი: თავდაპირველად კარგად ხარშავენ თრიმლის ყლორტებსა და გულს, შემდეგ მასში ალაგებენ შესაღებ მასალას: ძაფს, მატყლს ან ქსოვილს და ადულებენ სასურველი ფერის მიღებამდე. ამოღების შემდეგ აცივებენ ორთქლზე, რეცხავენ და აშრობენ ჩრდილში. ფერმჭერად გამოიყენება თეთრი შაბი.

თრიმლი შალს, აბრეშუმს და ტყავს ღებავს ნარინჯისფრად, ყავისფრად და ყვითლად. თრიმლი გამოიყენება ფარმაცოლოგიაში.

Dyes orange

Sumac is a bush of the Anacardiaceae family reaching 2-3m in height. The leaves are egg-shaped, greenish blue, placed alternation on the stem, being 3-8 cm wide and 3-7 cm long. They contain 15-25%

of an intoxicating compound. The plain, greenish white flowers are clustered on panicles. Sumac flowers in May-June.

Sumac shoots, wood, bark, and heartwood are used to dye. It dyes a fiery orange colour. To start off, sumac wood, shoots, and heartwood are boiled well, then the material to be dyed – yarn, wool, or fabric – is placed in this boiled mix and boiled further until the desired colour is obtained. In the end, the material is taken out, cooled off in steam, washed, and dried in the shade. White alum is used for the mordant. It dyes worsted wool, silk, and leather in orange, brown, and yellow hues. Sumac is also used in pharmacology.

მასალა:

თრიმლი 2-3 კგ
ძაფი-მატყლი – 1 კგ
თეთრი შაბი – 250 გ

INGREDIENTS:

Sumac – 2-3 kg
Yarn, wool – 1 kg
White alum – 250 g

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ქიზიყი – ნარინჯი ხე
- ✱ საინგილო – სარაღან
- ✱ ქვემო რაჭა – კაპარი

LOCAL NAMES:

- ✱ Kiziki – *narinji khe*
- ✱ Saingilo – *saraghan*
- ✱ Kvemo Racha – *kapari*



მათრახა

Isatis – Matrakha – Isatis iberica



ღებავს ლურჯად

მათრახა – მცენარეთა გვარი ჯვაროსანთა ოჯახიდან. ამ ერთ- ან ორწლოვანი, იშვიათად მრავალწლოვანი ბალახის 60-მდე სახეობაა გავრცელებული აზიასა და ევროპაში. საქართველოში 15 სახეობაა, მათ შორის ქართული მათრახა (*Isatis iberica*) ხარობს თბილისის მიდამოებშიც. იზრდება მშრალ კლდეებსა და ჩამონაზვავებზე. საღებავი მათრახას (*Isatis tinctoria*) ფოთლებისაგან მაუდის მუქ ლურჯ საღებავს (*indigo*) იღებდნენ და დიდი რაოდენობით მოჰყავდათ დასავლეთ ევროპაში.

ძაფს ინდიგოში, ძირითადად, სახელოსნოებში აღებვინებდნენ. XIX საუკუნეში კავკასიაში შემოდიოდა ინდიგოს დაკრისტალებული პიგმენტის დიდი ნატეხები და ფშავ-ხევსურეთში მას ქვალილას ეძახდნენ. ამით უკვე ფშავი და ხევსური ქალები ღებავდნენ ნაცართვალთან ერთად, რაც ფერსაც კარგად იჭერდა.

შედების წესი: 10-12 ლიტრ თბილ წყალში ხსნიან ერთ მუჭა მარილს, ცალკე ჭიქაში ცივ წყალში ხსნიან 1 ჩ/ქ კაუსტიკურ სოდას, 1 ჩ/კ სპექტრალიტს და 10 მგ ნიშადურის სპირტს. მიღებულ მოყვითალო-მომწვანო ფერის ხსნარში ყრიან ინდიგოს, აცხელებენ 80-90°C-მდე და შიგ ალაგებენ 1 კგ ძაფის შულოებს. გაცივების შემდეგ ამოიღებენ და თუ სასურველი ფერი გამოვიდა, ძაფს გარეცხავენ და გააშრობენ, ხოლო – თუ არა, უკანვე ჩააბრუნებენ.

Dyes blue

Woad – a plant from the Cruciferae family. An annual or biennial herb, rarely perennial. There are up to 60 species spread throughout Asia and Europe. There are 300 species in Georgia, including Georgian woad (*Isatis iberica*), widespread around Tbilisi. It grows in arid, rocky areas and landslides. Indigo was obtained from dyer's woad leaves and harvested in large quantities in Western Europe.

Yarn was dyed in indigo primarily at dyeworks. Large chunks of crystallized indigo pigment were introduced in the Caucasus in the 19th century, and it was called *kvalila* in Pshav-Khevsureti. Pshavian and Khevurian women already dyed with this along with lye, which was a good mordant.

Dyeing method: one handful of salt is dissolved in 10-12 l of warm water, then 1 tsp caustic soda, 1 tsp Spectralite, and 10 mg ammonia hydrate are mixed into a teacup of cold water. A yellowish-green solution is obtained. After this, the indigo is put in, the mixture is heated to 80-90°C, and 1 kg of yarn skeins are placed in it. This solution is cooled with the skeins remaining in it. Then the skeins are taken out. If the desired hue has been obtained, the skeins are rinsed and dried. If not, then the yarn is returned to the dye.

მასალა:

მათრახას ფოთლები და ღეროები
– 4 კგ (ნედლი), მშრალი – 2 კგ
შესაღები მასალა – 1 კგ
თეთრი შაბი – 250 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Woad leaves and stems – 4 kg (raw)
Dried woad – 2 kg
Material to be dyed – 1 kg
White alum – 250 g
Water – enough to cover the material to
be dyed

ადგილობრივი სახელები:

✠ ფშავ-ხევსურეთი – ქვალილა

LOCAL NAMES:

✠ Pshav-Khevsureti – *qvalila*



კაკალი Walnut – kakali – *Juglans regia*



ღებავს ყავისფრად (მიიღება ყველა ტონი)

38

კაკალი მრავალწლიანი ხემცენარეა. იგი საქართველოს ყველა კუთხეში ხარობს. კაკლის ხე 2000 წელსაც კი ცხოვრობს. ვარჯი ძლიერი, გუმბათისებურია. მისი ფოთლები ძალიან მსხვილია და ტოტებზე მორიგეობითაა განლაგებული. ფოთლების ფორმა ელიფსურია, ხოლო მისი ყვავილები წვრილი, „შეუხედავი“ და ორსქესიანია.

კაკალი ყვავილობს აპრილ-მაისში, ხოლო ნაყოფი მწიფდება აგვისტო-სექტემბრის თვეში.

ღებვაში გამოიყენება კაკლის როგორც ქერქი, ასევე ფოთოლი, ყვავილი, ნაჭუჭი, წენგო. კაკლის სამშობლოდ მიიჩნევა შუა აზია და კავკასიის ზოგიერთი რაიონი.

ქიმიური შემადგენლობა: მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს: სტეროიდებს, ალკოლოიდებს, მთრიმლავ ნივთიერებებს და ქინონს. ფოთლებში კი ნაპოვნია ეთერზეთები, ალკალოიდები, კაროტინი და ვიტამინები C, B, P.

კაკლის ფოთოლი, ყვავილი და წენგო ღებავს აბსოლუტურად სხვადასხვა ტონებს. ჩემს პრაქტიკაში თვრამეტზე მეტი განსხვავებული ტონალობა მაქვს მიღებული.

კაკლის წენგოს გამოყენება შეიძლება ტყავის გასათრიმლავად, ხოლო ფოთლებს, ქერქსა და წენგოს იყენებენ ქსოვილების, მატყლის, ხალიჩების და შალის ძაფის ქატოსფრად და ყავისფრად შესაღებად. კაკლის წენგო, ძალასთან ერთად, ღებავს შავად.

კაკლის წენგო ყველაზე კარგად ღებავს მაშინ, როცა კაკალი იკრიფება.

შეღებვის წესი: დაჩეჩვილ წენგოს ასხამენ წყალს და ადულებენ. ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ ნახარშიში ყრიან ნართს ან მატყლს და ტოვებენ რამდენიმე დღეს, სასურველი ფერის მიღებამდე. დროდადრო ჭურჭლიდან იღებენ და მზეზე ატრიალებენ, რათა ძაფი არ აჭრელდეს და მკვეთრი ფერი მიიღოს.

ფერმჭერად იყენებენ როგორც ნაცართვალს, ისე ძალასა და ძროხის შარდს.

Dyes all shades of brown

Walnut is a perennial tree. It flourishes in all regions of Georgia. Some walnut trees live for 2,000 years. The crown is strong, and dome shaped. Walnut leaves are quite large and positioned in turn on branches. The leaves are in an ellipse form, whereas the flowers are small, plain, and monoecious.

Walnuts bloom in April-May and the fruits ripen in August-September. Walnut bark, leaves, flowers, shells, and rinds are used in dyeing.

Walnuts are considered native to Asia and some regions of the Caucasus.

Chemical composition: all parts of the plant contain biologically active compounds, particularly steroids, alkaloids, tannins, and quinone. Essential oils, alkaloids, carotene, and vitamins B, C, and K are found in the leaves.

Walnut leaves, flowers, and rind dye various shades. In my experience, I have obtained more than 18 different shades.

Walnut rind can be used to tan leather, whereas the leaves, bark, and rind are used to dye textiles, wool, rugs, and worsted wool yarn bran coloured and brown. Together with iron vitriol, walnut rind dyes black. Walnut rind dyes the best of all when the walnuts are picked to make preserves or are picked when ripe.

Dyeing method:

The rind is pummelled, water is poured over it, and the mixture boiled. Afterwards, the rind is taken out, the spun yarn or wool is thrown into the decoction and kept in it for a few days until the desired hue is obtained. In the meantime, the material is taken out into the sun and turned so the yarn does not get mottled and obtains a solid colour.

მასალა:

INGREDIENTS:

კაკლის წენგო – 3-4 კგ	Walnut rind – 3-4 kg
ძაფი ან მატყლი – 1 კგ	Yarn or wool – 1 kg
ძალა – 150 დ 200 გ (თუ შავი გვინდა)	Iron vitriol – 150-200 g (if black is desired)
ნაცარი – 1 კგ (თუ ყავისფერი გვინდა)	Ash – 1 kg (if brown is desired)
წყალი – იმდენი, შიგ კარგად	Water – enough for the dyeing material to
ლივლივებდეს შესაღები მასალა.	float well

ადგილობრივი სახელები:

- ✱ გურია – იმერეთი – ნიგოზი
- ✱ რაჭა-ლეჩხუმი – ნიგოზი
- ✱ სამეგრელო – ნეძი
- ✱ სვანეთი – კენკრა, კაკ-გაკ.

LOCAL NAMES:

- ✱ Guria, Imereti – *nigozi*
- ✱ Racha-Lechkhuni – *nigozi*
- ✱ Samegrelo – *nedzi*
- ✱ Svaneti – *kenkra, kak-gak*

ლაფანი, ლაფნის ხე

Wingnut – *lapani*, *lapnis khe* – *Pterocarya pterocarpa*



ღებავს ყავისფრად და შავად

ლაფნის ფოთოლი და ქერქი შეიცავს ყავისფერ საღებავსა და მთრიმლავ ნივთიერებებს. ძირითადად, იზრდება კახეთში ფშისპირებზე (მცირე მდინარეების პირას), ნესტიან ადგილებსა და მდინარის ნაპირებზე.

ლაფნის ხე დიდი რაოდენობით ხარობს სოფელ ლაფანყურში, ლოპოტას ნაპირებზე. გრძელი და დაკბილული ლაფანი 4 მ-მდე სიმაღლის იზრდება. ღებავს მისი ფოთოლიც და ქერქიც. ფოთლებით მიიღება ყავისფერი ტონები, ძალასთან ერთად – შავი ფერი. დეკისა და ლაფნის ფოთლებით შეღებილი ძალიან ჰგავს ერთმანეთს. თუმცა, დეკაში შეღებილს მოყვითალო ფერი დაჰკრავს, ხოლო ლაფანში შეღებილს – ყავისფერი.

ზოგი ლაფნის ფოთლებსა და შესაღებ მასალას ფენა-ფენა ალაგებს ქურჭელში და ისე ღებავს, ზოგი კი ჯერ კარგად მოხარშავს ლაფნის ფოთლებს და ამ ნახარშში აწყობს შესაღებ ძაფსა თუ მატყლს.

ჟანგიან რკინებთან ან ძალასთან ერთად ლაფანი ღებავს შავად. საუკეთესო შავი სწორედ ლაფანში შეღებილი გამოდის.

Dyes brown and black

The leaves and bark of the Caucasian wingnut contain brown pigment and tannins. It primarily grows in Kakheti in riparian areas, humid locations, and on riverbanks.

A great number of wingnut trees flourish in the village of Lapankuri on the bank of the Lopota. The tree grows to 4 m in height. Wingnut leaves are long and dentate. The leaves as well as the bark dye. Brown shades are dyed using wingnut leaves. Black is obtained using iron vitriol. Things dyed in rhododendron leaves and material dyed in wingnut leaves greatly resemble each other. Additionally, an item dyed in rhododendron has a yellowish hue, whereas something dyed in wingnut has a brown hue.

Some people dye with wingnut leaves by placing the leaves and material to be dyed in alternating layers in a vessel. Others, however, boil the wingnut leaves well and then place the material to be dyed in this decoction.

When used with rusty iron or iron vitriol, wingnut dyes black. Wingnut yields the best black colour.

მასალა:

ლაუნის მშრალი ფოთოლი – 1 კგ
ნედლი ფოთოლი – 4-5 კგ
ძალა
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Dried wingnut leaves – 1 kg
Fresh leaves – 4-5 kg
Iron vitriol
Water – enough for all the material
to float well

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ქვემო იმერეთი – ნაჭა
- ✱ ლაზეთი – მეტყუი კაკალი
- ✱ სამეგრელო – ლიფონი, ლეფანი, ლიფინი
- ✱ საინგილო – მტყუან კაკალ

LOCAL NAMES:

- ✱ Kvemo Imereti – *nacha*
- ✱ Lazeti – *metkui kakali*
- ✱ Samegrelo – *liponi, lepani, lipini*
- ✱ Saingilo – *mtkuan kakal*



ნაცარა მურყანი Grey alder – *natsara murkani* – *Alnus incana*



ღებავს ყავისფრად და შავად (ორჯერ შეღებვით)

ნაცარა მურყანი არყისებრთა ოჯახის მუქი ნაცრისფერი, გლუვი ქერქის მქონე ხეა, რომელიც 20 მ-დე იზრდება. ხეს აქვს ლანცეტა ან ელიფსური ფორმის 4-10 სმ სიგრძის ფოთლები, რომლებიც ღეროზე მორიგეობითაა განლაგებული. ნაცარა მურყნის ქერქი მდიდარია საღებავი და მთრიმლავი ნივთიერებებით. ძირითადად, ღებავს ყავისფრად, თუმცა, ორჯერ შეღებვით, ძალასთან ერთად, მიიღება შავი ფერი.

მურყნის ქერქი ღებავს შავად.

სასარგებლო თვისებები: მურყანი ფარმაცოლოგიაშიც გამოიყენება. გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, სვანეთში, სამეგრელოში, მთიულეთსა და თუშ-ფშავ-ხევსურეთში. იზრდება მდინარის ნაპირებზე და ნესტიან ხეობებში.

Dyes brown and black (double dye)

Grey alder is of the Betulaceae family, a tree dark grey in colour with smooth bark standing about 20 m high. It has lancet or elliptical shaped leaves 4-10 cm in length arranged in alternation along the stem. Grey ash bark is rich in pigment and tannins. It primarily dyes brown, although by dyeing twice with iron vitriol, it yields black.

The bark of the tree is used for dyeing.

Grey alder is widespread in Racha-Lechkhumi, Svaneti, Samegrelo, Mtiuleti, Tusheti, Pshavi, and Khevsureti. It grows on riverbanks and in humid valleys.

მასალა:

მურყნის მერქანი – 2 კგ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას
შესაღები მასალა – 800 გ
ძალა – 1 ს/კოვზი

INGREDIENTS:

Alder wood – 2 kg
Water – enough to cover the material
to be dyed
Wool – 800 g
Iron vitriol – 1 tbs.

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ხევი – მურყანაის ხე
- ✱ იმერეთი-რაჭა-ლეჩხუმი – თხმელა, როხმელა
- ✱ გურიი – თხემლა
- ✱ ლაზეთი – თხომბუ, თხომუ
- ✱ სამეგრელო – თხომ, თხუმუ, თხუმ
- ✱ სვანეთი – ბელყან, ბელყენ.

LOCAL NAMES:

- ✱ Khevi – *murkanais khe*
- ✱ Imereti-Racha-Lechkhumi – *tkhmela, rtkhmela*
- ✱ Guria – *tkhmela*
- ✱ Lazeti – *tkhombu, tkhomu*
- ✱ Samegrelo – *tkhom, tkhumu, tkhum*
- ✱ Svaneti – *belkach, belkech*



მუხა

Oak – mukha – *Quercus iberica*



ღებავს ყავისფრად და შავად

44

მუხა მსხვილი, ლამაზი, წიფლისებრთა ოჯახის ხეა, რომელიც სიმაღლით 18-25 მ-ს აღწევს. ტოტებზე მორიგეობით განლაგებული ფოთლები კვერცხის ფორმისაა და ზედა მხრიდან პრილა. ყლორტების ქერქი სქელი, მუქი და დამსკდარია. ისხამს 25-35 მმ სიგრძის და 15 მმ სიგანის რკოს, რომელიც მოკლეყუნწიან ფიალაშია ჩამჯდარი.

შესაღებად იყენებენ ქერქს, ფოთლებს, ტოტებსა და ყლორტებს.

მუხის რკო შეიცავს კრახმალს, მთრიმლავ ნივთიერებებსა და შაქარს, მუხის ფოთოლი – მთრიმლავ და საღებავ ნივთიერებებს, ხოლო მუხის ქერქი – მთრიმლავ ნივთიერებებსა და ორგანულ მჟავებს.

მუხა საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული.

შეღებვის წესი: მუხის ქერქს, ფოთლებს და ყლორტებს ალბობენ, შესაღებ მასალასთან ერთად (ძაფს ან მატყლს) ფენა-ფენა ალაგებენ ქურჭელში (შეიძლება გამოვიყენოთ სპილენძის ქვაბიც), დგამენ ცეცხლზე და ხარშავენ 20-30 წუთის განმავლობაში. შავი ფერის მისაღებად ფერმქერად იყენებენ ძაღას, ყავისფრის მისაღებად კი – ნაცართვალს. სასურველი ფერის მისაღებად ძაფსა თუ მატყლს ხშირ-ხშირად ამოალაგებენ და მზეზე ატრიალებენ, რომ არ აჭრელდეს. თუ უფრო მკვეთრი ფერი უნდათ, ქურჭელშივე აბრუნებენ და მეორე დღეს ხელახლა ამოალაგებენ. ეს პროცედურა სასურველი ფერის მიღებამდე გრძელდება. ბოლოს ავლებენ სუფთა წყალში და აშრობენ.

მუხის ქერქის ნაყენი გამოიყენება ფარმაცოლოგიაში.

Dyes brown and black

Oaks are large, beautiful trees of the Fagaceae family reaching 18-25 m in height. The leaves are arranged in alternation on branches, obovate in shape, and glossy on top. The bark of saplings is thick, dark, and cracked. Acorns are 25-35 mm long and 15 mm wide and are placed in a short-stemmed cupule.

The bark, leaves, branches, and shoots are used for dyeing.

Acorns contain starch, tannins, and fat, oak leaves contain tannins and colour pigments, whereas oak bark has tannins and organic acids.

Oak is widespread in Meskheta, Trialeti, Zemo and Kvemo Kartli, Kakheti, Pshav-Khevsureti, Mtiuleti, Imereti, Racha-Lechkhumi, Guria, and Svaneti.

The oak bark, leaves, and shoots are first soaked in water to soften them and after this, are placed together with the material to be dyed (yarn or wool) in alternating layers in a vessel (in this case it's possible to use a copper cauldron). This is placed over an open flame and boiled for 20-30 minutes. If black is the colour of choice, then iron vitriol is used as the mordant; if brown is desired, then lye. In order to obtain the desired colour, the material is laid out in the sun and turned at frequent intervals, so the yarn or wool does not get mottled. If a more vivid hue is desired, the material is once again placed in the cauldron and left there until the next day. The process of setting the material out in the sun is repeated until the desired colour is obtained. In the end, the material is rinsed in clean water and dried.

Oak is used in pharmacology.

მასალა:

4-5 კგ მუხის ქერქი, ყლორტები
ძაფი ან მატყლი – 1 კგ
ძალია – 200 გ ნაცარი – 500 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად ფარავდეს
შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Oak bark, shoots – 4-5 kg
Yarn or wool – 1 kg
Iron vitriol – 200 g
Ash – 500 g
Water – enough to cover this mixture well

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ქვემო იმერეთი – რკო
- ✱ ლაზეთი – ქკონი
- ✱ სამეგრელო – ქყონი
- ✱ სვანეთი – ჭირი, ჭიჰრა
- ✱ აჭარა – რკო

LOCAL NAMES:

- ✱ Kvemo Imereti – *rko*
- ✱ Lazeti – *chkoni*
- ✱ Samegrelo – *chkoni*
- ✱ Svaneti – *jiri, jihra*
- ✱ Achara – *rko*

მოცვი

Bilberry – *motsvi* – *Vaccinium myrtillus*



ღებავს ლურჯად

მოცვი მრავალწლიანი ბუჩქია, რომელიც სიმაღლით 15-30 სმ-ს აღწევს. მისი ყვავილები მომწვანო-თეთრია, ხანდახან – ვარდისფერი ელფერის. კენკრა წვნიანია, შავი ფერის ნაფიფქით. მოცვი ყვავილობს მაის-ივნისში, ხოლო ნაყოფი მწიფდება ივლის-აგვისტოში. მისი ნაყოფი, ღერო და ყვავილები ღებავს ლურჯად.

მოცვის კენკრა შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს და 7% ორგანულ (ვაშლის, ლიმონის და სხვ.) მჟავებს.

მოცვის ფოთლები შეიცავს მთრიმლავ ნივთიერებებს, შაქარს, საპონინებს, ორგანულ მჟავებს და ასევე, მინერალურ ნივთიერებებს.

მოცვი გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკასა და აღმოსავლეთ აზიაში. საქართველოში გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მთებში – ალპურ ზონაში. მოცვი ფარმაცოლოგიაშიც გამოიყენება.

Dyes blue

Bilberries are perennial bushes reaching 15-30 cm in height. Their flowers are greenish white, sometimes pink and the berries are scattered among the leaf axils. The berries are juicy with black indumentum. Bilberries flower from May-June, whereas the fruit ripens from July-August. The fruit, stems, and flowers dye blue.

Bilberries contain tannins and 7% organic acids, including malic acid, citric acid, etc. Bilberry leaves contain tannins, sugars, saponins, organic acids, and mineral compounds. These berries are widespread in North America and East Asia.

In Georgia they are found in the alpine zones in East and West Georgia.

Bilberry is used in pharmacology.

მასალა:

მოცვი – ნაყოფი, ღერო, ყვავილი – 10 კგ
ძაფი, მატყლი – 1.5 კგ
თეთრი შაბი – 200 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად ფარავდეს
შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Bilberry (fruit, stems, flowers) – 10 kg
Yarn, wool – 1.5 kg
White alum – 200 g
Water – enough to cover the material to be
dyed so it floats

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ხევი – შავხილაი, ხილის ტყე, შავი ხილი, ხილი
- ✱ ფშავი – სელშავი, შალშავი, შილშავი
- ✱ თუშეთი – ჟოლი
- ✱ მთიულეთი – ილი
- ✱ აჭარა – მიწამოცვი
- ✱ სამეგრელო – მეღშია
- ✱ ზემო რაჭა – მოდგინარი
- ✱ ქვემო რაჭა – კაპარი
- ✱ ლაზეთი – კაცხა, კაცხანაკა
- ✱ სვანეთი – მეღმეგელ, მეგმელ
- ✱ საინგილო – სარადან

LOCAL NAMES:

- ✱ Khevi – *shavkhilai, khilis tke, shavi khili, khili*
- ✱ Pshavi – *selshavi, shalshavi, shilshavi*
- ✱ Tusheti – *zholi*
- ✱ Mtiuleti – *ili*
- ✱ Achara – *mitsamotsvi*
- ✱ Samegrelo – *melshia*
- ✱ Zemo Racha – *modginari*
- ✱ Kvemo Racha – *kapari*
- ✱ Lazeti – *katskha, katskhanaka*
- ✱ Svaneti – *melgmegl, megmel*
- ✱ Saingilo – *saradan*

ყანის სოსანი

Oriental knight's-spur – *sosani* – *Consolida orientalis*



ღებავს იისფრად

სოსანი გვიან გაზაფხულზე ყანებში იშლება. მუქი იისფერი ყვავილია და ღებავს იისფრის სხვადასხვა ტონად. სოსანი უნდა მოიკრიფოს დილაადრიან დიდი რაოდენობით, ვინაიდან მხოლოდ შესაღებად გამოიყენება მხოლოდ ყვავილი.

შეღებვის წესი: შეღებვის დაწყებამდე შესაღებ ძაფს ხარშავენ ტუტაში – ნაცართვალში. სოსანის დარჩეულ, გარეცხილ და დანაყილ ყვავილებს ყრიან მომინანქრებულ ქურჭელში. ასხამენ ერთ ჯამ წყალს და დგამენ ცეცხლზე. რომ ჩათუთქება, კარგად მოურევინ და გადმოდგამენ. ტუტაში ამოვლებულ და გაწურულ შესაღებ ძაფს ან მატყლს დებენ სოსანის საღებავში, კარგად ურევინ, რომ მთლიანად დაიფაროს ძაფი, ფუთავენ თბილად და მთელი დღით ტოვებენ. ასე იქცევიან სასურველი ფერის მიღებამდე. ბოლოს ჩათუთქული სოსანს დებენ ცივ საღებავში, ტოვებენ საღამომდე და შემდეგ ფენენ გასაშრობად. ბოლოს რეცხავენ ცივ წყალში და აშრობენ ჩრდილში.

Dyes purple

Crocuses bloom in fields in late spring. The flowers are dark purple and yield various shades of purple. They must be picked early in the morning, a large amount is necessary for dyeing, because only the flowers are used for dye. Stems must be removed from the blossoms, then the flowers are washed and crushed. In the meantime, the yarn must be boiled in lye.

When the crocus flowers are winnowed, they must be put in the dyeing vessel – an enamelled cauldron. One bowl of water is poured over them and the cauldron is placed over an open flame. When they are scalded in boiling water, the blossoms are stirred, and the cauldron is taken off the fire. The yarn or wool to be dyed must be rinsed in lye water, wringed out, placed in the crocus dye, and stirred so the yarn is completely covered in the dye. We then cover the cauldron while it's still warm and leave it for the entire day until evening. This process is repeated a few times until the desired colour is obtained, then in the end, the material is placed in the cold crocus dye until evening. The material is then spread out to dry, washed in cold water after being dried, and dried again in the shade.

მასალა:

INGREDIENTS:

სოსანი – 6-8 კგ
მასალა – 2 კგ
ფერმჭერი – ტუტა (ნაცართვალი) წყალი –
იმდენი, რომ შიგ კარგად ლივლივებდეს
შესაღები მასალა, რათა არ აჭრელდეს.

Crocus – 6-8 kg
Yarn, wool – 2 kg
Mordant – lye
Water – enough for the yarn to freely float
and not get mottled

ადგილობრივი სახელები:

✿ საქართველოს ყველა კუთხეში ეძახიან სოსანს.

LOCAL NAMES:

✿ It is called “Sosani” in all regions of Georgia



კრაზანა

St. John's wort – *krazana* – *Hypericum perforatum*



ღებავს ხაკისფრად – მოყვითალო ყავისფრად

50

კრაზანა მრავალწლიანი, ბალახოვანი მცენარეა კრაზანისებრთა ოჯახიდან. მისი სიმაღლე 30-100 სმ-ს აღწევს. აქვს ორწიბოიანი, დატოტვილი ღერო, მჯდომარე ფოთლები კი ღეროსა და ტოტებზე ერთიმეორის პირისპირაა განლაგებული. სიგრძე 0,7 და 3 სმ-ს აღწევს, სიგანეში 0,3-1,5 სმ-ია. ოვალური, ბლავი, მრავალრიცხოვანი ნათელი ჯირკვლებით გარს ეკვრის შავი ფერის ფოთლებს და სისხლისფერ ზეთს გამოყოფს. მცენარის მოოქროსფრო ყვითელი ყვავილები ფარისებრ ყვავილედებადაა შეკრული.

კრაზანა ყვავილობს ივნისსა და აგვისტოში.

კრაზანას ბალახი შეიცავს საღებავ ნივთიერებებს, ფლაკონოიდებს და ეთერზეთებს; ნაპოვნია 10% მთრიმლავი ნივთიერება, 55% კაროტინი, ორგანული მჟავები და მინერალური მარილები. კრაზანა ხარობს გამეჩხერებულ ადგილებში, ტყისპირებში, მთაში კი ზღვის დონიდან 2000 მ-მდე სიმაღლეზე გავრცელებული.

ღებავს ხაკისფრად და მომწვანო-მოყვითალო ყავისფრად.

შეღების წესი: მომინანქრებულ ჭურჭელში ფენა-ფენა ჩალაგებულ კრაზანასა და დაშაბულ შესაღებ მასალას ადულებენ სასურველი ფერის მიღებამდე. შემდეგ იღებენ, აშრობენ, ავლებენ და საბოლოოდ ჩრდილში აშრობენ.

სასარგებლო თვისებები: კრაზანას ნაყენი გამოიყენება როგორც ფარმაცოლოგიაში, ასევე კულინარიაში. მის ნაყენს მიირთმევენ ჩაის სახით.

Dyes khaki to yellowish brown

St. John's wort is a perennial, herbaceous plant belonging to the Hypericaceae family. It reaches 30– 100 cm in height. The plant has a double-ribbed, branching stem with the leaves placed on the branches and stem opposite from each other. Leaves are 0.7-3 cm long and 0.3-1.5 cm wide. They have oval, obtuse dots of translucent glandular tissue – these spots envelope black coloured leaves and yield a blood-red oil. The plant's golden yellow flowers are grouped together in broad, helicoid cymes.

St. John's wort flowers from June-August.

The plant contains pigment compounds, flavonoids, and essential oils. 10% tannins, 55% carotene, organic acids, and mineral salts.

St. John's wort grows and flourishes in thin-sown areas, as well as the edges of forests. In the mountains however, they are widespread up to 2,000 m above sea level.

The plant dyes khaki – greenish, yellowish brown.

When dyeing, St. John's wort and material that has been treated with alum are placed in layers in an enamelled vessel. This is then boiled until the desired colour is obtained. In the end the dyed material is taken out, dried, rinsed off, and dried in the shade. St. John's wort tincture is used in pharmacology. It is also used in the culinary arts.

მასალა:

INGREDIENTS:

მასალა: კრაზანა 2-3 კგ
ძაფი – 600-700 გ
შაბი – 150-200 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

St. John's wort – 2-3 kg
Yarn – 600-700 g
Alum – 150-200 g
Water – enough to cover it well

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ხევი – კაკლის ჩაი
- ✱ სამცხე-ჯავახეთი – ნეგო
- ✱ გურია-იმერეთი – ცოცხობე, კერეჟანა
- ✱ ხევსურეთი – უშმურის ბალახი, ჩაის ყვავილი
- ✱ მთიულეთი – უშმურაი
- ✱ ლაზეთი და სამეგრელო – მჟუაში ოსური
- ✱ ქართლი – ტრაზანა

LOCAL NAMES:

- ✱ Khevi – *kaklis chai*
- ✱ Samtskhe-Javakheti – *nego*
- ✱ Guria, Imereti – *tsotskhobe, kerezhana*
- ✱ Khevsureti – *uzhmuris balakhi, chais kvavili*
- ✱ Mtiuleti – *uzhmurai*
- ✱ Lazeti and Samegrelo – *mzhuashi osuri*
- ✱ Kartli – *trazana*

ყაყაჩო

Red poppy – *kakacho* – *Papaver rhoeas*



ღებავს რუხად

ყაყაჩო ხარობს საქართველოს ყველა კუთხეში, ძირითადად, ყანებში, ტყისპირებსა და ყანისპირებში. ყვავის მაისსა და ივნისში. საღებავად გამოიყენება მხოლოდ ყვავილის ფურცლები. მიიღება რუხი მის ტონები, განსაკუთრებული მოლურჯო რუხი. ფერმჭერად გამოიყენება თეთრი შაბი.

შეღების წესი: ყაყაჩოს ყვავილს ალაგებენ მომინანქრებულ ქურჭელში ფენა-ფენა. ასხამენ იმდენ წყალს, რომ კარგად დაფაროს მთელი ეს ნარევი, და ადუღებენ 0,5 საათს. შემდეგ იღებენ, აწყობენ ქვაბზე დადებულ ლასტზე (წნელის წნულზე) და ფუთავენ თბილად. ბოლოს რეცხავენ და ჩრდილში აშრობენ.

Dyes grey

Red poppies flourish in all Georgian regions. They are primarily found in fields, at the edges of forests and fields. The plant blooms from May-June. The flowers are used for dyeing, which yield grey and various tones of grey, especially bluish grey. When poppies are gathered, only the flower petals are picked. In the case of red poppies, white alum is used as the mordant.

Dyeing method: The red poppy flowers are taken and placed in layers with the material to be dyed in an enamelled vessel. Water is poured over this, enough to cover this entire mixture well, and is boiled for half an hour. Then the material is taken out, arranged on a wicker mat placed on the cauldron, and wrapped warmly. The material is first washed, dried, washed again, and dried out in the shade.

მასალა:

ყაყაჩოს ყვავილი – 1-2 კგ

ძაფი, მატყელი – 0,5 კგ

შაბი – 120-130 გ

წყალი – იმდენი, რომ კარგად ფარავდეს
შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Red poppy petals – 1-2 kg

Yarn, wool – 0.5 kg

Alum – 120-130 g

Water – enough to cover everything well

ადგილობრივი სახელები:

✿ ყველა კუთხეში – ყაყაჩო

✿ ხევსურეთი – ვარდი

LOCAL NAMES:

✿ All regions – *kakacho*

✿ Khevsureti – *vardi*



ტუხტი

Marshmallow – *tukhti* – *Althea officinalis*



ყვითელი ტუხტი – ღებავს ყვითლად,
ვარდისფერი ტუხტი ღებავს ვარდისფრად

ტუხტი, როგორც საღებავი, ცნობილი იყო ოდითგანვე. არსებობს ორნაირი ტუხტი: ყვითელი და ვარდისფერი, შესაბამისად, მიიღება აღნიშნული ფერები. ტუხტი ყვავილობს ივნისიდან სექტემბრამდე. შესაღებ ნედლეულს – ყვავილს აგროვებენ ყვავილობის აქტიურ პერიოდში, არჩევენ და აშრობენ ჩრდილში, ან იყენებენ მაშინვე – ახალმოკრეფილს. მასში შემავალი პიგმენტი, მალდვინი, ღებავს შალის ნაწარმს.

შეღებვის წესი: ტუხტის გარჩეულ ყვავილს ყრიან მომინანქრებულ ჭურჭელში და თუთქავენ. მასში ჩააწყობენ შესაღებ დაშაბულ მატყლს და ადულებენ 0,5 საათს. გადმოდგამენ, გააცივებენ და ისევ შედგამენ ცეცხლზე. ეს პროცესი გრძელდება სასურველი ფერის მისაღებად. ვარდისფერი მიიღება ვარდისფერ ტუხტში, ხოლო ყვითელი – ყვითელ ტუხტში. შეღებილ მასალას კარგად რეცხავენ გამდინარე წყალში და ჩრდილში აშრობენ დაშაბვა ხდება შესაღები მასალისა და მისი $\frac{1}{4}$ წილი შაბის ერთად წამოდულებით.

Yellow marshmallow dyes yellow and the pink variety dyes pink

Marshmallow was known as a dye a long time ago. There are two types of marshmallows – yellow and pink – dyeing these colours respectively. Marshmallow flowers from July-September. The raw material used as dye – the flowers – must be collected during the active blooming period. These blossoms must be sorted out and dried in the shade, or used right away, freshly picked. Marshmallow flowers contain the pigment malvidin which dyes wool products.

The mallow flowers are sorted, dropped into an enamelled vessel, and scalded in boiling water. Wool that has been treated with alum (treating with alum takes place as follows: the alum must be $\frac{1}{4}$ the amount of the material to be dyed, and the wool is then boiled in the alum) is put in to be dyed following this. It is boiled for half an hour. After this, it is taken off the fire, cooled down, and then put over the flames again. This process is continued until the desired hue is obtained. Pink is obtained with pink coloured marshmallow blossoms, and yellow is obtained using yellow ones. Later, the wool is washed well in flowing water and dried out in the shade.

მასალა:

ტუხტი – 1,000 გ
შესაღები მასალა – 500 გ
შაბი – 500 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Mallow – 1,000 g
Material to be dyed – 500 g
Alum – 500 g
Water – enough to cover the wool or
yarn well

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ჯავახეთი – თუხტი
- ✱ გურია – დუხტი
- ✱ რაჭა – ვირიმოლოქა
- ✱ აჭარა – ფოხვერი

LOCAL NAMES:

- ✱ Javakheti – *tukhti*
- ✱ Guria – *dukhti*
- ✱ Racha – *virimoloka*
- ✱ Achara – *pokhveri*

ცაცხვი

Linden flower – *tsatskhvis kvavili* – *Tilia cordata*



ღებავს ყვითლად და კანისფრად

56

ცაცხვი გავრცელებულია საქართველოს ფოთლოვან ტყეებში. ხშირად გვხვდება მუხნარებში. სამღებროდ გამოიყენება ცაცხვის ყვავილები.

ნედლეულს – ყვავილებს და თანაყვავილეებს ფოთლებთან ერთად – აგროვებენ მშრალ ამინდში დღისით, რომ არ შეჰყვეს წამი. გასათვალისწინებელია, რომ ცაცხვი ყვავის 10-15 დღეს. შეგროვილ ნედლეულს აშრობენ ჩრდილში, თხელ ფენად გაშლილს.

ცაცხვის ყვავილები შეიცავს ეთერზეთებს, ჰესპერიდინს, ტილიაციდინს, საპონინებს, სათრიმლაკ ნივთიერებებს, კაროტინს და ასკორბინის მჟავას.

შეღების წესი: ცაცხვის ყვავილს ყრიან წყალში, ორი-სამი დღის შემდეგ კი ამატებენ შესაღებ მასალას – შაბწყალში გამოყვანილ ძაფის შულებსა და მატყლს. ნარევს ადულებენ სასურველი ფერის მიღებამდე. შეღებილ მასალას ჯერ აშრობენ ჩრდილში, შემდეგ კი რეცხავენ.

სასარგებლო თვისებები: ცაცხვის ყვავილების ჩაი ფიტოფარმაკოლოგიაში გამოიყენება.

Dyes yellow and off white

Linden is widespread in Georgia in deciduous forests. It is frequently found in oak forests.

Linden blossoms are used for dyeing.

The flowers and the bracts along with the leaves are prepared as the raw material, which must be gathered during the day in dry weather, so it has no residual dew. Linden blooms for 10-15 days, thus, the time to harvest it is short. The harvested raw material must be dried out in the shade, spread out in thin layers. Linden blossoms contain essential oils, hesperidin, telecine, saponins, tannins, carotene, and ascorbic acid.

Dyeing method: Two or three days beforehand, the linden flowers are put in some water. After this, the material to be dyed is put into this mixture and boiled until the desired colour is obtained. Before being dyed, the yarn skeins or wool must be treated in alum water. The dyed material is first dried off in the shade and then washed.

Linden blossom tea is used in phytopharmacology.

მასალა:

1-1,5 კგ – ნედლი ყვავილები
500 გ – მშრალი ყვავილები
250 გ – შაბი
500 გ – შესაღები ძაფი ან მატყლი
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Fresh linden flowers – 1-1.5 kg
Dried linden flowers – 500 g
Alum – 250 g
Yarn or wool – 500 g
Water – enough to cover everything

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ხევი – მაჭი
- ✱ ლაზეთი – დუცხუ, კავალი
- ✱ სამეგრელო – ცხაცხუ, ცაცხუ, ცხაცხვი
- ✱ სვანეთი – ზესხრა, ცაცხვ, ფანა
- ✱ საინგილო – ცაცხ

LOCAL NAMES:

- ✱ Khevi – *machi*
- ✱ Lazeti – *dutskhu, kavali*
- ✱ Samegrelo – *tskhatskhu, tsatskhu, tskhatskhvi*
- ✱ Svaneti – *zeskhra, tsatskhv, pacha*
- ✱ Saingilo – *tsatskh*

ხახვი

Red onionskin – *khakhvis purtseli* – *Allium cepa*



ღებავს მოწითალო ყავისფრად, მოყავისფრო ყვითლად

ხახვის ფურცელი და ფოჩი საღებავად თითქმის საქართველოს ყველა კუთხეში გამოიყენებოდა. ყველა ჯიშის ხახვის ფოჩი და ფურცელი ღებავს, მაგრამ მაინც არჩევენ წითელ, ქართული ჯიშის ხახვის ფურცელს. სააღდგომო ენდროსთან ერთად, ხახვის ფურცელში ღებავენ სააღდგომო კვერცხებს.

შეღებვის წესი: ქურჭელში ფენა-ფენა ალაგებენ ხახვის ფურცელსა და შესაღებ მასალას (ძაფს, მატყლს, ქსოვილს) და კარგად ფარავენ წყლით. შედგამენ ცეცხლზე და 1-1,5 სთ-ის განმავლობაში ხარშავენ. შემდეგ რეცხავენ. ხახვის ფურცელთან ერთად შესაღებ მასალად შეიძლება გამოიყენონ ენდრო ან თრიმლი. იღებენ სხვადასხვა ტონალობის ყავისფერს.

Dyes reddish brown, brownish yellow

Onion skins and stalks were used for dyeing almost in all Georgian regions. It is notable that the skin and stalk of all onion varieties can dye, but still the Georgian variety of red onions is preferred. Along with madder root, red onionskin is used to dye Easter eggs.

Dyeing method: The onionskin and material to be dyed (yarn, wool, textiles) are arranged in alternating layers in a vessel and then covered well in water. This is placed over an open flame and boiled for 1-1.5 hours. After being dyed, the material is washed. It is possible to use madder root or sumac for dyeing along with the onionskin. Different shades of brown are obtained.

მასალა:

ხახვის ფურცელი – 1 კგ
მატყელი ან ძაფი – 1,5-2 კგ
შაბი – 250 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

INGREDIENTS:

Onion skin – 1 kg
Yarn or wool – 1.5-2 kg
Alum – 250 g
Water – enough to cover

ადგილობრივი სახელები:

- ✱ რაჭა – მხახვი
- ✱ საინგილო – ხახ
- ✱ ლაზეთი – სოღანი, კრომი
- ✱ სამეგრელო – ხვარხვი
- ✱ სვანეთი – ხახვ

LOCAL NAMES:

- ✱ Racha – *mkhakhvi*
- ✱ Saingilo – *khakh*
- ✱ Lazeti – *soghani, kromi*
- ✱ Samegrelo – *khvarkhvi*
- ✱ Svaneti – *khakhv*



ჯანგა/მღიერი

Lichen – *zhanga/Mghieri/kvis khakhvi* – *Parmelia caperata*



ღებავს ჟანგისფრად

ჯანგა არის ლიქენი, რომელსაც ხალხურად „კლდის ხავსს“ ეძახიან. იგი არის მოვერცხლისფრო-მომწვანო ფერის და ისე მჭიდროდ არის გართხმული ქვაზე, რომ თუ არ დასველდა, ვერ ააცლი, ამიტომ კარგია, თუ ორ-სამ დღიანი წვიმის შემდეგ, გაშრობამდე ეცდებიან, ააცალონ კლდეებს და ქვებს. თუ ხელები შეგელებათ მოწითალოდ, უნდა მიხვდეთ, რომ სწორედ ეს არის სამღებრო ხავსი – ჯანგა, ანუ ჯანგარო (ყველა ხავსი არ ღებავს), რომელიც ღებავს მოწითალო ყავისფრად.

შეღებვის წესი: შესაღებ ქვაბში ფენა-ფენა ალაგებენ წინასწარ დამბალ ჯანგას, ძაფს და მატყლს (2-3 პეშვ ჯანგაროზე 200 გ ძაფი) შედგამენ ცეცხლზე და ადულებენ. ღებვის პროცესი გრძელდება სასურველი ფერის მიღებამდე. შეღებილ მასალას ამოიღებენ, გააცივებენ ორ-თქვზე და გარეცხავენ. გაშრობისას ხშირად ატრიალებენ, რომ არ აჭრელდეს. ჯანგაში შეღებვას ფერმჭერი არ სჭირდება.

Dyes rust coloured

Janga is a lichen which is colloquially also called a “rock moss”. It is silverish green in colour and spread out quite densely on rocks. If it has not been wetted, the lichen cannot be removed from the rock. Therefore, it's always best to go out 2-3 days after a rain and remove it from cliffs and rocks before it dries out. The lichen leaves a reddish stain on the hands and this how you realize that it's the lichen used

for dyeing. Lichen dyes reddish brown. The lichen and material to be dyed are placed in layers in the dye cauldron (200 g of yarn requires 2-3 handfuls of lichen). This is then placed over an open flame and boiled. The process is continued until the desired colour is obtained. After this, the dyed material is taken out, cooled off in steam, and then washed. While drying, the material is frequently turned so it doesn't become mottled. The lichen must be soaked beforehand. No mordant is needed when dyeing with lichen.

მასალა:

INGREDIENTS:

ჯანგა – 500 გ
ძაფი ან მატყლი – 1-1,5 კგ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

Lichen – 500 g
Yarn or wool – 1-1.5 kg
Water – enough to cover

ადგილობრივი სახელები:

✿ თუშეთი – ჯანგარო

LOCAL NAMES:

✿ Tusheti – *jangaro*



ხაქოლი, ანუ წართხლა Alpine knotweed – *khakoli, tsartkhla* – *Polygonum alpinum*



ღებავს ყვითლად

ხაქოლი მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა, რომელიც განეკუთვნება მათიტელასებრთა ოჯახს.

გავრცელებულია ტყეებში, ბუჩქნარებში, ტყის მდელოებზე, ტყის პირას, არხების ნაპირებზე და მდინარის ქალებში. ხაქოლი სიმაღლით 50-150 სმ-ს აღწევს. სწორმდგომ, ცილინდრულ და მცირედდატოტვილ ღეროზე მოგროძო (0,7-2 მმ სიგანისა და 5-12 მმ სიგრძის), ლანცეტა ფოთლები მორიგეობითაა განლაგებული. ზემოდან მუქი, ხოლო ქვემოდან ღია მწვანეა. წითელი და კენწეროზე აღმამდგომ მტევნებად შეკრული ყვავილები დილის 6-დან 7 საათამდე იშლება. ნაყოფი – 9 სმ სიგრძის ტოტის მსგავსი კოლოფი ოთხი საგდულისგან შედგება და მრავალრიცხოვან წაგრძელებულ თესლს შეიცავს.

ხაქოლი ყვავილობს ზაფხულში, ივნისის ბოლოდან აგვისტოს შუა რიცხვებამდე. ღებვაში გამოიყენება ყვავილებიც, ფოთლებიც და ღეროებიც.

Dyes yellow

Knotweed is a perennial herbaceous plant belonging to the Polygonaceae family. It reaches 50-150 cm in height. The plant's stem is erect, cylindrical, and shallow branched. Its oblong, lanceolate are pinnated on the stem. They are 0.7-2 mm wide, 5-12 mm long. Colour-wise, they are dark green on the bottom and light green on top. It has red flowers clustered together on upright peduncles. The flowers blossom

from 6-7 AM. Knotweed achenes are capsules like pods 9 cm in length consisting of four compartments containing numerous elongated seeds.

Knotweed blooms from the end of June to the middle of August. The flowers, leaves, and stems are used in dyeing. It dyes yellow.

Knotweed is widespread in forests, shrubbery, forest meadows, at the edge of forests, on the banks of canals, and in riverside copses.

მასალა:

INGREDIENTS:

ხაქოლი – 2-3 კგ
შესაღები მასალა – 500-700 გ
შაბი – 130-150 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

Alpine knotweed – 2-4 kg
Yarn or wool – 500-700 g
Alum – 130-150 g
Water – enough to cover everything well

ადგილობრივი სახელები:

- ✱ მთიულეთი – ქართხალი
- ✱ ხევი – ქერთხალი
- ✱ სვანეთი – ლეცირ
- ✱ ხევსურეთი – წერთხალი

LOCAL NAMES:

- ✱ Mtiuleti – *chartkhali*
- ✱ Khevi – *chertkhalai*
- ✱ Svaneti – *letsir*
- ✱ Khevsureti – *tsertkhali*



რძიანა

Spurge – rdziana – *Euphorbia sp.*



ღებავს ყვითლად

64

ფშავში ყვითლად, ძირითადად, რძიანა ბალახითა და ხაქოლით (წართხლი) ღებავენ. რძიანა ბალახი გვხვდება ყველგან – ტყის პირებში და უფრო მშრალ ადგილებში.

იზრდება 40-50 სმ სიმაღლის. აქვს დატოტვილი ღერო და პატარა ყვითელი ყვავილები. ყვავის ივნის-აგვისტოში და შესაღებად ხელსაყრელიც სწორედ ამ დროსაა. ამ მცენარის გადატეხი-სას თეთრი, რძისმაგვარი სითხე გადმოიღვრება და სწორედ ამიტომ ეძახი- ან – რძიანას.

შეღების წესი: ბალახს კარგად ფარავენ წყლით და მანამ ადუღებენ, სანამ ღერო კარგად არ მოიხარშება. შემდეგ ამოყრიან ბალახს და ნახარშში ჩაყრიან შაბნყალში წინასწარ გადმო-დუღებულ ნართს ან მატყლს. 5-6 სთ დუღილის შემდეგ შიგვე აციებენ და რეცხავენ. ბოლოს გავაშრობთ ჩრდილში.

Dyes yellow

In Pshavi, things are dyed yellowe primarily with spurge and alpine knotweed. Spurge is encountered everywhere – at the edges of forests and more in arid locations.

It grows to 40-50 cm in height. The plant has a branched stem and small, yellow flowers. It blooms from June-August, and this is the preferable time for dyeing. When this plant is broken open, it oozes a white fluid like milk and this is why it's called rdziana (the word for milk in Georgian is rdze – trans).

Dyeing method: The plants are boiled well in water and when the stems have been boiled (the water must fully cover the plants), the plant material is taken out and yarn or wool that has already been boiled in alum water is dropped into the decoction. This is boiled for 5-6 hours and then cooled off without taking anything out. The dyed material is then washed and dried in the shade.

მასალა: INGREDIENTS:

1 კგ მშრალი ბალახი	Dried plant material – 1 kg
0,5 კგ ნართი	Yarn – 0.5 kg
10-12 ლ წყალი	Water – 10-12 l

ადგილობრივი სახელები:

- ✱ თუშეთი – ბალღამის ბალახი, ბალღამა
- ✱ ხევ-მთიულეთი – რძევანა, ერძევანა
- ✱ რაჭა – მერძევალა
- ✱ ლეჩხუმი – მერძეულე
- ✱ იმერეთი, გურია – რძია რძია
- ✱ საინგილო – ზიანა
- ✱ სამეგრელო – მაბჟალია, მავჟალია, მებეჟალიე
- ✱ სვანეთი – მგლგჯოლ

LOCAL NAMES:

- ✱ Tusheti – balghamis balakhi, balghama
- ✱ Khev-Mtiuleti – rdzevana, erdzevana
- ✱ Racha – merdzevala
- ✱ Lechkhumi – merdzeule
- ✱ Imereti, Guria – rdzia rdzia
- ✱ Saingilo – ziana
- ✱ Samegrelo – mabzhalia, mavzhalia, mebezhalie
- ✱ Svaneti – mglgjool

ჭინჭარი

Nettle – *tchintchari* – *Urtica dioica*



ღებავს მწვანედ

66

ჭინჭარი მრავალწლიანი, ორსახლიანი, ბალახოვანი მცენარეა გრძელი ფესურებითა და მინისქვეშა ყლორტებით. ღერო ოთხნახნაგია. მასზე ისევე, როგორც ფოთლებზე, მოთავსებულია მსუსხავი ბუსუსები, რომლებიც საინექციო შპრიცის მსგავსად მოქმედებენ. ყვავილობს ივნისიდან შემოდგომამდე.

ჭინჭარი ხარობს როგორც მშრალ, ასევე ნესტიან ადგილებში, ოღონდ ყოველთვის ნოყიერ ნიადაგში, სახლებთან, ღობის ძირებში, გზის პირებზე, ტყეებში.

საღებავად იყენებენ მხოლოდ ღეროებსა და ფოთლებს. უნდა შეგროვდეს ყვავილობამდე, ხელთათმანით. დამჭნარი ღერო აღარ ისუსხება.

შეღებვის წესი: საღებავის მოსამზადებლად 500 გ გამხმარ ჭინჭარს (2-3 ნედლს) ხარშავენ 5-6 ლიტრ წყალში (უმჯობესია, წვიმის ან გამოხდილი წყალი) 3-4 საათის განმავლობაში.

შესაღებად ძაფს ამზადებენ შემდეგნაირად: 200 გ ძაფს დებენ 2 ლიტრ წყალში გახსნილ 25 გრამ შაბში და ადულებენ 15-20 წუთს. ასე მომზადებულ ძაფს გააშრობენ ჩრდილში და მერე გარეცხავენ.

Dyes green

Nettle is a perennial, dioecious, herbaceous plant with long rhizomes and subterranean shoots. The stem is tetrahedral in shape, with the leaves and stems bearing stinging indumenta which function like a syringe needle. It flowers from June to autumn.

Nettle flourishes in both arid and humid areas, and always in fertile soil by houses, at the base of fences, on the edge of roads, and in forests. Only the stems and leaves are used to dye, and they must be harvested before the plant flowers using gloves. Withered nettle no longer stings.

Dyeing method: To prepare the dye, 500 g of dry nettle is needed, it is boiled in 5-6 litres of water (rainwater or distilled water is best) for 3-4 hours. The material to be dyed is prepared in the following manner: 200 g of yarn is placed in a solution of 25 g of alum dissolved in 2 litres of water. It is boiled for 15-20 minutes. This prepared yarn is dried in the shade and then washed.

მასალა:

INGREDIENTS:

ჭინჭარი – 2-3 კგ
შაბი – 15-20 გ
შესაღები მასალა 200 გ
წყალი – 10-12 ლ

Nettle – 2-3 kg
Alum – 15-20 g
Yarn – 200 g
Water – 10-12 l

ადგილობრივი სახელები:

- ✖ ხევი – ქახიანა
- ✖ ლაზეთი – დინჭიკიჭი
- ✖ სამეგრელო – ჭაუჭელია, ჭუჭელე
- ✖ სვანეთი – მერხელ
- ✖ საინგილო – ჟინჭარ
- ✖ ხევსურეთი – ჭინჭარი

LOCAL NAMES:

- ✖ Khevi – Chakhiana
- ✖ Lazeti – Dinchikichi
- ✖ Samegrelo – Chauchelia, Chuchele
- ✖ Svaneti – Merkhel
- ✖ Saingilo – Jhinchar
- ✖ Khevsureti – Jinchar

ჩვეულებრივი კონახური Barberry – kotsakhuri – *Berberis vulgaris*



ღებავს ვარდისფრად

კონახურისებრთა ოჯახის წარმომადგენელი კონახური 1,5-2 მ სიმაღლის სუსტად დატოტვილი და ეკლიანი ბუჩქია ყვითელი მერქნითა და სწორი ტოტებით. მისი ფოთლები კვერცხისებრია, წამწამებით შემოსილი და ელიფსური ფორმის დამოკლებულ ტოტებზე ჯგუფებადაა განლაგებული. გაზაფხულზე ღია მწვანეა, შემოდგომაზე მუქი წითელი. ყვითელი ყვავილები თავჩაქინდრულ მტევნებადაა შეკრებილი. კენკრა ოვალური ფორმისაა ღია წითელი, მჟავა 2-3 წაბლისფერი თესლით. დაუმწიფებელი ნაყოფი შხამიანია.

გამოიყენება კულინარიაში სანელებლად.

ღებვაში გამოიყენება კონახურის ქერქი, ფესვები და მწვანე ნაყოფი.

მწვანე ნაყოფი შაბთან ერთად ღებავს ვარდისფრად (მატყლი, სელის ქსოვილი, ქაღალდი).

კონახურის ფესვები ღებავს ვარდისფრად, ხოლო ქერქი და ყლორტები – ყვითლად. თუმცა, ფესვები მატყლსა და ტყავს ღებავს ყვითლად.

ყვავილობს მაის-ივნისში, მწიფდება აგვისტო-სექტემბერში.

ნედლეულს ქაღალდზე ან ქსოვილზე თხელ ფენად ამშრობენ. ფესვებს აგროვებენ ოქტომბერ-ნოემბერში ან აპრილში. კონახურის ფესვის ქერქში, გარდა ბერბერინისა, ნაპოვნია ალკალოიდი ოქსიაკანცინი, ასევე – პალმიცინი და მთრიმლავი ნივთიერებები.

სასარგებლო თვისებები: ფარმაცოლოგიაში ფესვებისგან ამზადებენ ბერბერინს.

Dyes pink

Barberry is a bush representative of the Berberidaceae family 1.5-2 m in height with yellow xylem. The branches of the plant are straight and frail with thorns. The leaves are obovate, covered in cilia, and arranged in elliptical shaped groups on shorter branches. In the spring they are light green and in fall dark red. The yellow flowers are clumped together in hanging clusters. The berries are ovaloid, light red, acidic, with 2-3 greyish brown seeds. Unripe berries are poisonous.

Barberry is used in cuisine as a zesty spice.

Together with alum, the green berries dye pink (for wool, linen, and paper). It blooms in May-June, with berries ripening from August-September.

Barberry bark and roots are used in dyeing. The raw material is dried out in thin layers on paper. The roots dye wool and leather yellow.

Barberry root is harvested in the fall in October-November, or in the spring during April.

Apart from berberine, oxyacanthine, palmatine, and tannins are also found in barberry root bark.

In pharmacology, berberine is prepared from the roots, which is used to treat hepatitis and calculous diseases of the gall bladder.

Barberry roots dyes pink, whereas the bark and shoots dye yellow.

მასალა:

INGREDIENTS:

ფესვი – 1კგ
შესაღები მასალა – 1კგ
შაბი – 150 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღებ მასალას.

Barberry roots – 1 kg
Material to be dyed – 1 kg
Alum – 150 g
Water – enough to cover everything

ადგილობრივი სახელები:

- ✳ ფშავი– ეკალძმარა
- ✳ ხევსურეთი – ესკალძმარა
- ✳ მთიულეთი – კონამახური
- ✳ რაჭა – კვაწახური
- ✳ სამეგრელო – კორწოხური
- ✳ სვანეთი – გვაწხირ, გოწხირ
- ✳ ლაზეთი – კაწახური

LOCAL NAMES:

- ✳ Pshavi – *ekaldzmara*
- ✳ Khevsureti – *eskaldzmara*
- ✳ Mtiuleti – *kotsamakhuri*
- ✳ Racha – *kvatsakhuri*
- ✳ Samegrelo – *kortsokhorui*
- ✳ Svaneti – *gvatskhir, gotskhir*
- ✳ Lazeti – *katsakhuri*

ცირცელი

Mountain-ash – *tsirtseli* – *Sorbus caucasigena*



ღებავს ყვითლად

ცირცელი იზრდება სუბალპურ ზონაში. ეს ფოთოლმცვენი ხე სიმაღლეში 2-დან 2,8 მ-მდე აღწევს. მისი ცეცხლისფერ მტევნებად შეკრული ნაყოფი შემოდის გვიან შემოდგომაზე ან ზამთრისპირზე. საღებავად იყენებენ ხის ქერქს. ღებავს მოყვითალო წენგოსფრად (რაც დამოკიდებულია საღებავის კონცენტრაციაზე). ფერმჭერად იყენებენ ნაცართვალს. ხის ქერქს ჭრიან გაზაფხულზე, უფრო ხანდაზმულ ხეებს.

შეღების წესი: ხის ქერქს ჭრიან, ჩეჩქვავენ, შესაღებ მასალასთან ერთად ფენა-ფენა ალაგებენ ჭურჭელში და ადუღებენ. შეღებვამდე ძაფის შულოებს ალაგებენ ნაცართვალში. ნაცართვალი არის ტუტა, რომელიც არბილებს ძაფისა თუ მატყლის ბოჭკოებს და იგი უფრო ადვილად შეიწოვს საღებავს. საღებავი თუ არ შევიდა ბოჭკოებში, შესაღები მასალა გაუხუნიბელი არ გამოვა. სასურველი ფერის მიღების შემდეგ იღებენ შესაღებ მასალას და აცივებენ ორთქლზე, შემდეგ ავლებენ თბილ წყალში და აშრობენ ჩრდილში.

Dyes yellow

Mountain ash grows in the mountains in the alpine zone. It's a deciduous tree reaching 2-2.8 m in height. It bears fiery orange clusters of berries between late fall and the beginning of winter. The tree bark is used for dyeing. It dyes yellowish dark brown (according to the dye concentration). Lye is used for the mordant. The bark is stripped from trees in the spring, mostly from older trees.

Dyeing method: The tree bark is cut up, tenderized, placed in alternating layers with the material to be dyed in a vessel, and boiled. Before being dyed, yarn skeins are placed in lye. The lye softens the wool fibres and facilitates the absorption of dye. If no dye is absorbed into the fibres, the material will fade. When the desired colour is obtained, the material is taken out and cooled off in steam. Then it is rinsed in warm water and dried in the shade.

მასალა:

ხის ქერქი – 2-2,5 კგ
შესაღები მასალა – 1 კგ
ნაცართვალი – 200 გ
წყალი – იმდენი, რომ კარგად
ფარავდეს შესაღები მასალას.

INGREDIENTS:

Tree bark – 2-2.5 kg
Material to be dyed – 1 kg
Lye – 200 g
Water – enough to cover everything

ადგილობრივი სახელები:

- ✱ ხევი, მთიულეთი – წორო, მწორო
- ✱ მესხეთი, რაჭა, ლეჩხუმი – ქნავი
- ✱ იმერეთი, გურია – ქნავი
- ✱ აჭარა – მქკნავი
- ✱ სამეგრელო – ამჩვაშა, ჩვახა, ქვახა
- ✱ სვანეთი – გოგლანდ

LOCAL NAMES:

- ✱ Khevi, Mtiuleti – *tsoro, mtsoro*
- ✱ Meskheta, Racha, Lechkhumi – *chnavi*
- ✱ Imereti, Guria – *chnavi*
- ✱ Achara – *mchknavi*
- ✱ Samegrelo – *amchvasha, chvakha*
- ✱ Svaneti – *gogland*



კოშენელი Cochineal – kosheneli – *Dactylopius coccus*



ღებავს წითლად

კოშენელი არის ბუნებრივი საღებავი. მიიღება ხოჭოებისგან, რომლებიც ძირითადად მოიპოვება მექსიკაში, გიგანტურ კაქტუსებზე გუნდებად შესეულ ვერცხლისფერ, წიწიბურას ფორმის ხოჭოებს თუ გადახსნით, აღმოაჩენთ ძალიან ლამაზ წითელს. მისგან მიღებული სინთეზური საღებავის გამოწერა შესაძლებელია საზღვარგარეთიდან. შემოგთავაზებთ რამდენიმე რეცეპტს კოშენელით ღებვისთვის.

შეღებვის წესი

რეცეპტი I

- 1) შალს კარგად რეცხავენ და ტოვებენ ნამიან;
- 2) გამოხდილი წყალი გააცხელეთ 20 ლ 80-90 გრადუსამდე არარეაქტიულ ემალირებულ ჭურჭელში;
- 3) უმატებენ 8 ჩ/კ ღვინის ქვის (ღვინის ლექი ქვევრის ფსკერზე) ქაფს და კარგად ურევინ გახსნამდე;
- 4) 8 ჩ/კ დაფქულ კოშენელს ამატებენ ცხელ აბაზანაში;
- 5) ცხელ ნარევიშივე ამატებენ ერთ კოვზ კალიქტორიდს KCE და ურევინ მანამ, სანამ კარგად არ გაიხსნება.

- 6) ამატებენ შესაღებ ნართს ან ქსოვილს და ადულებენ ნელ ცეცხლზე 1 სთ, თან განუწყვეტლივ ურევენ.
- 7) გადმოღებულ შალს წურავენ, აგრილებენ, ავლებენ და აშრობენ. თუ ფერი სუსტია, უმატებენ 2 ჩაის კოვზს დაფქულ კოშენელს და ხელახლა ღებავენ 30 წთ-ის განმავლობაში. თუ წითელი ფერი ყვითლისკენ მიდის, სამღებროს უმატებენ 2 ჩ/კ შაბს და კიდევ 30 წუთის განმავლობაში ღებავენ.
- 8) სამღებროს ძალიან გაწითლების შემთხვევაში, ამატებენ ყვითელ საღებავს. სასურველია მცირეოდენი მარილმჟავას დამატება სასურველი წითელი ფერის მიღებამდე.

რეცეპტი II

- 1) 17-24 ლ-მდე ჭურჭელს სანახევროდ ავსებენ ხისტი წყლით;
- 2) უმატებენ 32 გ (10 ჩ/კ) მჟაუნის მჟავას ან უნცია (2 ჩ/კ) კალის ქლორიდს და ურევენ კარგად;
- 3) ხსნარს ამატებენ 1.2 უნცია (2 ჩ/კ) დაფქულ კოშენელს, კარგად ურევენ და ადულებენ 5-10 წთ-ს;
- 5) ჭურჭელს პირამდე ავსებენ წყლით;
- 6) მიღებულ საღებავში ათავსებენ კარგად გარეცხილ მატყლს, ძაფს, ქსოვილს ან ნოტიო შალს;
- 7) ნელ ცეცხლზე ღებავენ 30 წთ-ის განმავლობაში. ამატებენ ყვითელ საღებავს, თუ არ არის საკმარისად წითელი;
- 8) გადმოდგმის შემდეგ აგრილებენ, კარგად რეცხავენ და აშრობენ.

Dyes red

Cochineals are insects primarily found in Mexico from which the natural dye carmine is obtained. These insects are parasites – shaped like a grain of buckwheat and silver in colour – found in groups on large cacti in Mexico. When these insects are broken open, an incredibly beautiful red colour is found. The dye carmine is obtained from this, which can be ordered from abroad. Here are a few recipes for dyeing with carmine.

Recipe 1

- 1) The wool yarn must be washed well and left moist.
- 2) Heat 20 litres of water to 80-90°C in a non-reactive, enamelled vessel.
- 3) Add 8 tsp. cream of tartar and mix well until dissolved.
- 4) Grind up 8 tsp. of carmine well and add it to this hot mixture.
- 5) Keep it at this temperature and add a spoon of KCE, stir well until dissolved.
- 6) Drop in the yarn or fabric to be dyed, stir it continuously and dye over a low flame for 1 hr.
- 7) Take out the yarn, wring it, let it cool down, rinse well, and dry. If a pale colour is obtained, add 2 or 4 tsp. more of ground cochineal, put in the yarn or fabric again, and dye it for 30 minutes. If the red colour leans more toward a yellowish hue, add 2 tsp. of alum to the pot and dye for 30 more minutes.

8) If the yarn or fabric has gotten too red, add some yellow dye to the mixture and dye until the desired red colour is obtained. I do this with the addition of a bit of hydrochloric acid to get the red colour I want.

Recipe 2

- 1) Fill a vessel half full of 17-24 litres of hard water.
- 2) Stir in 32 g of acetic acid, add an ounce (2 tsp) of stannous chloride and mix well.
- 3) Grind up 1.2 oz (2 tsp) cochineal, put it in the pot, and mix well.
- 4) Bring the dyeing vessel to a boil, boil it for 5-10 minutes.
- 5) Then fill the vessel with water up to the brim.
- 6) Add thoroughly washed wool, yarn, fabric, or damp worsted wool to the dye.
- 7) Over a low flame, bring the temperature of the dye bath to boiling for 45-60 minutes. Dye for 30 minutes. Add some yellow dye if the material is not sufficiently red.
- 8) Set the pot aside, let it cool off, thoroughly wash the dyed material, and dry it.

ფოტო: თინა ნაყეური-დათაშვილი და მცენარეული საღებავების გამოყენების ნიმუში

Photo: Tina Nakeuri-Datashvili (the author of the book) and the example of application of the plant-derived dyes



ფერები მცენარეული
საღებავის მიხედვით
სხვადასხვა კუთხის
მაბაღითზე



VARIOUS REGIONAL
EXAMPLES OF COLORS
ACCORDING TO
BOTANICAL DYES

ღებვა ფშავ-ხევსურეთში

შავად ღებვა

1. ფშავში შავად ღებავენ თავშავათი ძაღასთან ერთად
2. მურყნის ქერქში ძაღასთან ერთად
3. კაკლის წენგოში ნაცართვალთან ერთად

ყვითლად ღებვა

1. რძიანა ბალახში შაბთან ერთად
2. თხილის ფოთოლში შაბთან ერთად
3. თუთის ფოთოლში შაბთან ერთად

წითლად ღებვა

1. ენდროში შაბთან ერთად
2. თრიმლის ფოთოლსა და ქერქში შაბთან ერთად

მწვანედ ღებვა

1. ჭინჭარში შაბიამანთან ერთად
2. ვირისტერფაში შაბიამანთან ერთად
3. რძიანა ბალახში ინდიგოსთან ერთად
4. წართხლაში შაბიამანთან ერთად

ლურჯად ღებვა

1. ინდიგოსა და ნაცართვალში ერთად
2. ნაცართვალსა და ლილაში ერთად
3. ანწლსა და ნაცარში ერთად

ყავისფრად ღებვა

1. კაკლის წენგოთი (იღებენ თითქმის ყველა ტონს)
2. მურყნის ქერქში ნაცართვალთან ერთად
3. იფნის ქერქში
4. დეკის ფოთოლში შაბთან ერთად
5. ლაფანში ნაცართვალთან ერთად

DYEING IN PSHAV-KHEVSURETI



Black

1. Marjoram with iron vitriol
2. In alder bark with iron vitriol
3. In walnut rinds with lye



Yellow

1. In spurge with alum
2. In hazelnut leaves with alum
3. In mulberry leaves with alum



Red

1. In madder with alum
2. In sumac leaves and bark with alum



Green

1. In stinging nettle with blue vitriol
2. In coltsfoot with blue vitriol
3. In spurge along with indigo
4. In alpine knotweed with blue vitriol



Blue

1. In indigo and lye together
2. In danewort and ash together



Brown

1. Primarily with walnut rinds (almost all shades)
2. In alder bark with lye
3. In mountain ash bark
4. In rhododendron leaves with alum
5. In wingnut with lye





ვარდისფრად ღებვა

1. ვარდისფერ ტუხტში თეთრ შაბთან ერთად
2. კონახურის ძირებში
3. ვაშლში იელთან ერთად



რუხად ღებვა

1. ანწლში შაბთან ერთად
2. ყაყაჩოში შაბთან ერთად
3. ხის ქვარტლში (ბუხრიდან ჩამოყრილი)

ღებვა თუშეთში



შავად ღებვა

1. მთათუშეთში – თავშავითა და ძალით, ბარში – წენგოთი და ძალით
2. ლაფანში ძალასთან ერთად
3. თრიმლში ძალასთან ერთად
4. კაკლის ქერქში ძალასთან ერთად
5. მურყნის ქერქში ძალასთან ერთად



ყავისფრად (წენგოსფრად) ღებვა

1. იმავე შავი საღებავით ძალის გარეშე
2. დეკაში ნაცართვალთან ერთად



ყვითლად ღებვა

1. ფიჭვის ხავსში
2. ვაშლის ხის ქერქში
3. თრიმლის ქერქგაცლილ ხეში
4. ღოლოს ძირებში
5. დეკის ფოთოლში ნაცართვალის გარეშე



წითლად ღებვა

1. ენდროში



ცეცხლისფრად ღებვა

1. თრიმლში
2. კონახურის ძირებში



Pink

1. In pink marshmallow with white alum
2. In barberry roots
3. In apples with Pontic azalea



Grey

1. In danewort with alum
2. In red poppy petals with alum
3. In tree soot (from a fireplace)

DYEING IN TUSHETI



Black

1. With marjoram and iron vitriol in the highlands; with walnut rinds and iron vitriol in the lowlands
2. With wingnut and iron vitriol
3. With sumac and iron vitriol
4. With walnut bark and iron vitriol
5. With alder bark and iron vitriol



Brown (walnut brown)

1. Using black dye without any iron vitriol
2. With rhododendron and lye together



Yellow

1. In pine moss
2. In apple tree bark
3. In sumac wood without the bark
4. In sorrel roots
5. In rhododendron leaves without lye



Red

1. With madder



Fiery Orange

1. With sumac
2. In barberry roots





მწვანედ ღებვა

1. ჯერ ლილაში, მერე მყრალა ბალახსა ან წართხლში
2. ვერხვის ან არყის ფოთლებში
3. ლელვის ფოთოლში შაბთან ერთად



ლურჯად ღებვა

1. ინდიგოში. ინდიგო საქართველოში შემოდის ინდოეთიდან, სამხრეთ ამერიკიდან, თუმცა, საუკეთესო ბენგალურია

ღებვა იმერეთში

1. ყვითლად ღებვა – ვაშლის ქერქში
2. მოყვითალოდ ღებვა – ხახვის ფოჩში
3. წითლად ღებვა – ცოცხის თესლში, ასევე – ენდროში
4. მწვანედ ღებვა – კულმუხოს თესლში, მუქი მწვანის მისაღებად უმატებენ შაბს
5. რუხად (ნაცრისფრად) ღებვა – ქალაღდის ნამწვში
6. შავად ღებვა – კაკლის წენგოში ძაღასთან ერთად
7. ხაკისფრად ღებვა – წყავის, თხმელის და ვაშლის კანში ერთად
8. ლურჯად ღებვა – ანწლის ნაყოფში
9. ყავისფრად ღებვა – ლაფნის ფურცლებში, კაკლის ფოთოლში, ბროწეულის ქერქში ძაღის გარეშე

ღებვა რაჭაში

1. ყვითლად ღებვა – ვაშლის და თხმელის ქერქში
2. წითლად ღებვა – ენდროში
3. შავად ღებვა – თხმელის ქერქში ძაღასთან ერთად
4. ყავისფრად ღებვა – კაკლის წენგოში და ქერქში ძაღასთან ერთად

ღებვა კახეთში

1. წითლად ღებვა – ენდროში და ჭიაფერში ერთად
2. ყვითლად ღებვა – კონახურსა და ჭიაფერში, ფერმჭერის გარეშე პანტის ქერქში, მაჟალოს ქერქსა და თუთის ფოთოლში
3. ნარგზისფრად (ნარინჯისფრად) ღებვა – თრიმლის გულში შაბთან ერთად (ზაფრანა)
4. მწვანედ ღებვა – კენკრაში ძაღასთან ერთად



Green

1. First with indigo, then with mug wort or alpine knotweed
2. With aspen or birch leaves
3. In fig leaves with alum



Blue

1. With indigo dye. This dye is obtained in Georgia from abroad (India, South America, the best kind is Bengali)

DYEING IN IMERETI

1. Yellow – with apple tree bark
2. Yellowish hues – with onion stalks
3. Red – with broom seeds, as well as with madder
4. Green – with elecampane seeds, whereas if a darker green is desired, then alum is added
5. Grey – with paper ash
6. Black – with walnut rind and iron vitriol together
7. Khaki – with laurel, alder, and apple skins all together
8. Blue – with danewort fruit
9. Brown – with wingnut leaves, walnut leaves, or pomegranate bark without iron vitriol

DYEING IN RACHA

1. Yellow – in apple and alder bark
2. Red – with madder
3. Black – with alder bark together with iron vitriol
4. Brown – in walnut rinds and bark with iron vitriol

DYEING IN KAKHETI

1. Red – in madder and carmine together
2. Yellow – in barberry and carmine; if there is no mordant, then in wild pear bark, crab-apple bark, and mulberry leaves
3. Daffodil yellow – in sumac heartwood with alum (saffron crocus)
4. Green – in berries along with iron vitriol



5. შავად ღებვა – ბროწეულის ხისა და ნაყოფის ქერქში ძაღასთან ერთად, ლაფანში ძაღასთან ერთად, კაკლის წენგოში ძაღასთან ერთად
6. ლურჯად ღებვა – ინდიგოში
7. იისფრად ღებვა – სოსანში შაბთან ერთად

ღებვა სამცხე-ჯავახეთში

ოდითგანვე განთქმული ყოფილა მესხური ფიჩვები (მატყლის ფარდაგები), ხურჭინები და ლოგინის ნაბდები. ტანსაცმელსაც შინ ნაქსოვი შალისგან ამზადებდნენ. ყოველივე ამას შნოსა და ლაზათს ჰმატებდა ბუნებრივი საღებავების ორიგინალური ფერადოვნება.

შავად ღებვა

1. ფოთოთაში (აჭ. საწერავი, შალიბალახა) შავ ტალახთან ერთად. ფერმჭერად იყენებენ თეთრ შაბს. ძაფს ან მატყლს ამ ტალახში ტოვებენ ერთი კვირით
2. თავშავა ბალახში ძაღასთან ერთად
3. მუხის და იფნის ქერქში შაბთან ერთად
4. კვრინჩხის ქერქში შაბიამანთან ან ძროხის შარდთან ერთად
5. ქნავის ახალგაზრდა ყლორტებში შაბთან ერთად
6. კაკლის ფოთოლში, ქერქსა და წენგოში ნაცართვალთან ერთად

წითლად ღებვა

1. ენდროში, თეთრ შაბთან ერთად
2. კვრინჩხის ქერქში მარილთან და ტუტასთან ერთად. ტუტა – ნაცართვალი
3. ტყემლისა და მუხის ნედლ ქერქში რკინის ჟანგთან ერთად
4. კუნელის ქერქში, ფოთოლსა და ყლორტებში შაბთან ერთად
5. მოცვის ღეროშიც, ნაყოფშიც, ფოთოლშიც, ყლორტშიც შაბთან ერთად. შეღებილს აუცილებლად ავლებენ ძროხის შარდში

ყვითლად ღებვა

1. რძიანა ბალახში შაბთან ერთად
2. თუთის ფოთოლში შაბთან ერთად
3. პიტნის ფოთოლში შაბთან ერთად

მწვანედ ღებვა

1. ჭინჭრის მწვანე მასაში ტუტასთან ერთად. შეღებილს ავლებენ ძროხის შარდში
2. მოცვის ფოთოლში, ნაყოფსა და დაჩეჩქვილ ქერქში. შეღებილს ავლებენ ძროხის შარდში
3. კენკრის ნაყოფში ძაღასთან ერთად

5. Black – In pomegranate bark and rinds together with iron vitriol; in wingnut with iron vitriol; or in walnut rinds with iron vitriol
6. Blue – with indigo
7. Purple – in saffron crocus with alum

DYEING IN SAMTSKHE-JAVAKHETI

Meskhethian wool carpets, saddlebags, and felt bed covers have been famous since ancient times. Even clothing was made at home from woven worsted wool. What made these products even more attractive and charming were the original hues of natural dyes.

Black

With Armenian cranesbill (*Achra*: *satseravi*, *shalibalakha*)

1. Together with black mud, Armenian cranesbill dyes black. White alum is used as a mordant. The yarn or wool is left in this muddy mixture for one week
2. Marjoram with iron vitriol also dyes black
3. Oak and ash bark with alum
4. Blackthorn bark with blue vitriol – with cow urine
5. Young Mountain ash saplings with alum
6. Walnut leaves, bark, and rinds together with lye

Red

1. Madder is the recognized means of dyeing red, together with white alum
2. Blackthorn bark with salt and lye
3. Fresh wild plum and oak bark with iron rust
4. Hawthorn bark, leaves, and shoots with alum
5. Bilberry stems, fruits, leaves, and shoots with alum, in the end it is necessary to dip the dyed material in cow urine

Yellow

1. Spurge with alum
2. Mulberry leaves with alum
3. Mint leaves with alum

Green

1. A green mass of stinging nettle with lye – afterwards the dyed material is rinsed in cow urine
2. Bilberry leaves, fruits, and tenderized bark – the material is then dipped in cow urine
3. Sea buckthorn berries with iron vitriol



4. თხილის მწვანე ფოთოლში შაბთან ერთად
5. ატმის ფოთოლში შაბთან ერთად



ნარინჯისფრად ღებვა

1. თრიმლში შაბთან ერთად
2. ქარაგოზში (ქვის ხავსი) ძროხის შარდთან ერთად
3. თავშავაში შაბთან ერთად



ლურჯად ღებვა

1. მარმუჭში შაბთან ერთად
2. ღია ლურჯად – მოცვის ნაყოფის ქერქში ტუტასთან ერთად
3. ჩიტისთვალას (ტყის ბუჩქი) პატარა ნაყოფებში შაბთან ერთად



ყავისფრად ღებვა

1. კაკლის წენგოში ნაცართვალთან ერთად
2. კუნელის ქერქსა და ფესვებში შაბთან ერთად
3. მუხის ქერქსა და ფოთოლში შაბთან ერთად. შეღებილს ავლებენ ძროხის შარდში
4. მუქი ყავისფრის მისაღებად წენგოს უმატებენ ცაცხვის ფოთლებს



რუხად (თალხი) ღებვა

1. ქვარტლში შაბთან ერთად. შეღებვისას ნართი აუცილებლად სველი უნდა იყოს

ღებვა ქართლში

1. შავად ღებვა – თავშავას, თრიმლის, კაკლისა და მურყნის ქერქში ძალასთან ერთად
2. ყვითლად ღებვა – თრიმლის ხის გულში შაბთან ერთად. რძიანა ბალახში – შაბთან ერთად
3. წითლად ღებვა – ენდროში
4. ყავისფრად ღებვა – კაკლის წენგოში ძალას გარეშე ნაცართვალთან ერთად
5. მწვანედ ღებვა – რძიანა ბალახში ლილაქვასთან ან ჭინჭართან ერთად

ღებვის დროს ძირითადად იყენებენ: ყვავილებს, ფოთლებს, ხის ქერქს. მათი მოკრეფა-შეგროვებისას ეკოლოგიურად არავითარი საფრთხე არ ემუქრება ღებვისთვის განკუთვნილ მცენარეებს. გამოიყენება, ძირითადად, ჩამოცვენილი ფოთლები, ჩენჩოები, გამხმარი ხის ქერქი; კრეფენ ყვავილებსა და ფოთლებს ისე, რომ არ დაუზიანონ ფესვი.

4. Green hazelnut leaves with alum
5. Peach leaves with alum

Orange

1. Sumac with alum
2. Green shield lichen with cow urine
3. Marjoram with alum

Blue

1. Lady's mantle with alum.
2. For light blue, bilberry fruits and bark are used with lye
3. Sweet woodruff and its small berries along with alum

Brown

1. Walnut rinds are primarily used with lye
2. Hawthorn bark and roots with alum
3. Oak bark and leaves with alum. The dyed material is then dipped in cow urine
4. For a darker brown, linden leaves are added to the walnut rinds

Grey

1. Soot with alum is used. When being dyed, the yarn must be wet

DYEING IN KARTLI

1. Black – In marjoram, sumac, walnut, and alder bark with iron vitriol
2. Yellow – Sumac heartwood with alum. Spurge with alum
3. Red – with madder
4. Brown – In walnut rinds without iron vitriol, but with lye
5. Green – In spurge with indigo or stinging nettle

When dyeing, primarily flowers, leaves, and tree bark are used. These materials are gathered so that plants used for dyeing are not ecologically threatened. Fallen leaves, husks, and dried tree bark are used most of the time. Flowers and leaves are picked so there is no damage done to the roots.





ფშავური სამოსი



PSHAVIAN CLOTHING

2010 წელს უნდა ჩატარებულიყო ფესტივალი „თანამედროვე ქართული სამოსი ტრადიციული ელემენტებით“. გადავწყვიტე, მიმეღო მონაწილეობა და შემექმნა სამოსი ფშაურ მოტივებზე.

ფშავში დავიბადე, გავიზარდე, ფშაური სამოსი მეცვა, მომწონდა და მინდოდა ამ სამოსის შესწავლა და აღდგენა. ფესტივალი აღარ ჩატარდა, მაგრამ ბევრი სასიკეთო შედეგი მაინც გამოიღო. ფშაური სამოსის შესწავლა-აღდგენის მიზნით შევისწავლე სრულად შემორჩენილი მასალა, შემოვიარე სოფლები კარდაკარ და, ამ შეგროვილი ნიმუშების მიხედვით, დავიწყე სამოსის აღდგენა. შევისწავლე ეთნოგრაფიული მასალებიც ფშაურ სამოსზე:

ვაჟა-ფშაველას ეთნოგრაფის წერილები, ივანე ჯავახიშვილის „შინა მრეწველობის მასალები“ (გვ. 108-111), სერგი მაკალათიას „ფშავი“, ციალა ბეზარაშვილის „ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (გვ. 78-79, გვ. 84-85), ლევან ბოძაშვილის „ფშავი და ფშავლები“, თინა ოჩიაურის „წერილები ხევსური ქალის თანამედროვე ჩაცმულობა“.

როგორც ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები აღნიშნავენ, ფშაურ სამოსზე საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. მცირედ მოიპოვება ნიმუშებიც. ყველაზე ზედმიწევნით ფშაური სამოსი ს. ბეზარაშვილს აქვს აღწერილ-შესწავლილი წიგნში „ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“. აღნიშნულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ჩემ მიერ მოძიებული ინფორმაციისა და ნიმუშების მიხედვით, შევადგინე ესკიზები ფშაური სამოსის ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, რაც განიცადა და რამაც ჩვენამდე მოაღწია.

ქალის სამოსის ტრანსფორმაცია ასეთია:

1. ჯუბა (იგივე კაბა), პერანგი, ფაფანაგი და ფასტამელა;
2. მხრიანი (ანუ წელიანი) კაბა, პერანგი, ფაფანაგი და ფასტამელა;
3. მხრიანი კაბა, კოსტიუმი და ფასტამელა;
4. კოსტიუმი, „რუბაშკა“, ბოლოკაბა და ფასტამელა;

ფშავში სანამ ფაბრიკული ქსოვილები შევიდოდა, იმოსებოდნენ შინაქსოვი შალისგან შეკერილი სამოსით. შალის „ტოლები“ – ასე ერქვა ქსოვილს, რომელსაც ქსოდნენ ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე – „ყდაზე“. ის ყველა ოჯახის სახლის დერეფან-

In 2010, a festival to be held was announced at the Georgian Patriarchate through the blessing of Catholicos-Patriarch Ilia II, “Modern Georgian Clothing with Traditional Elements”. I decided to participate and make some clothing with Pshavian motifs. Pshavi was a region I was born and grew up in, I wore Pshavian attire and liked it – learning about this clothing and restoring it was always something of great interest to me. The festival was no longer carried out to the end, but it yielded many good outcomes. I began to study and restore Pshavian attire. I studied all the surviving material, went from door to door in the villages, and began restoring this clothing according to the samples collected. Through the existent material, I studied Pshavi and the ethnography of the region’s clothing: Vazha-Pshavela’s ethnographic letters (in Georgian),

I. Javakhishvili’s Cottage Industry Materials (pg. 108-111, in Georgian), Sergi Makalatia’s Pshavi, S. Bezarashvili’s Women’s Attire in the Mountainous Regions of Eastern Georgia (pg. 78-79, in Georgian) I. Badzashvili’s Pshavi and the Pshavians (pg. 84-85, in Georgian), and T. Ochiauri’s Some Letters Regarding a Khevsurian Woman’s Modern Attire (in Georgian). As the authors note, very little information about Pshavian clothing is to be found. There are also very few examples. Pshavian clothing is described and studied most thoroughly in S. Bezarashvili’s book Women’s Attire in the Mountainous Regions of Eastern Georgia. Based on this literature and according to the information and examples I had found, I put together some sketches of Pshavian attire by accounting for the transformations it has gone through and the surviving examples. The transformation of women’s clothing is as such:

1. a juba (woolen gown or dress), blouse, papanagi (a short, pleated tunic/coat), and pestamali (a type of apron).
2. a skirt, blouse, papanagi, and pestamali.
3. a skirt, leotard, and pestamali.
4. a leotard, tunic, skirt, and pestamali.

Until fabricated textiles were introduced in Pshavi, people dressed in clothes stitched together from wool woven at home. The fabric was called wool shawls, which was woven on a vertical loom – an embroidery frame erected in every home’s vestibule or cowshed. Two types of shawls were primarily woven in Pshav-Khevsureti: orshiani (double layered with fine yarn) and ertshiani (single layered, tightly, singly woven). The latter was also known by the name of tsagh-



ში ან ბოსელ-საბძელში ჰქონდათ გამართული. ფშავ-ხევსურეთში ძირითადად ორი სახის „ტოლებს“ ქსოვდნენ: „ორშიანი“ (წმინდა) და ერთშიანი „ცალპირა“, მჭიდრო. ამ უკანასკნელის ერთი სახეობა წაღმა-უკუღმართას სახელით იყო ცნობილი. შალის სახეობათაგან ფშავში ყველაზე გავრცელებული ყოფილა წაღმა-უკუღმართა (ს. ბეზარაშვილი გვ.12) ვაჟა-ფშაველას აღწერილობის მიხედვით, „ფშაველი მამაკაცის ტან-საცმელს შეადგენს მოკლე შალის შავი ჩოხა, შალისავე განიერი შალვერი, წითელი დარაიას ახალუხი, ამასთან, მკერდზე ასხმული აშურმა (ვერცხლის ბალთები ერთმანეთზე აკინძული), მხარ-ილლივ გადაგდებული შიბიანი და სალტეშემოკრული ტარიელის მათრახი, რომელიც ჩხუბისთვის აქვს გამზადებული. ფშავლის ქალს საშინაოდ აცვია ჯუბა (შალის კაბა), ფაფანაგი (მოკლე ჩოხა) და ტყავი. თავზე ახურავს ჩითის ჩიქილა ანუ ლეჩაქი, გარს შემოკრულის შალის ხელსახოცით. ხატობაში ან ქორწილში როდესაც არის ქალი, მას აცვია წითელი კაბა, ყელ ზედ ჰკიდია ვერცხლის შიბები“.

„ფშავშიოთ არი ქორწილი,
ტოშიოდ სადა სტყვრებაო.
თამაშობს წითელ კაბაი
რაკი არ შაუხდებაო.“

„კარზე რაიმ გამოვიდა,
მომეწონა – ყინჩ ქალია,
წითელ მოვის კაბა ეცვა
შეიდიშის ნიფხავია“.

ფშაური პოეზია, გვ, 221-222

maukughmarta (S. Bezarashvili, pg. 12). According to Vazha-Pshavela's account: "A Pshavian man's clothing consists of a short, black wool chokha, a wide shalwar also made of wool, a red silk akhalukhi, a shoulder belt hemmed over the chest (silver buckles threaded together) from the shoulder to the armpit, and a hilted whip ready for any kind of fighting. At home, a Pshavian woman wore a juba, papanagi, and some leather. On her head is a chikila or lechaki (a cotton veil and hat) surrounded by a woolen drape. On a village feast day or at a wedding, the woman wears a red dress with silver necklaces."

"There's a wedding in Pshavi,
Where's the applause sounding out?
A red dress dances
Since it doesn't suit it.

Someone came out at the door,
I liked her – an elegant woman,
She wore a soft, red silk dress,
And a silk underskirt."

(Pshavian Poetry, pg. 221-222)



ქალის სამოსი ფშავში

ფშაური ჯუბა

ჯუბას, ძირითადად, ცალპირა ტოლისაგან – შალის ქსოვილისაგან კერავდნენ. ყდიდან ჩამოჭრიდნენ ტოლს, ორად მოკეცავდნენ, სიგანეს – 60-80 სმ-ზე სიგრძეს 120– 140 სმ-ზე გადაჭრიდნენ და ტომარასავით ამოკერავდნენ. თუ ადამიანი ტანსრული იყო, გვერდებზე აზლოტებს ჩააკერებდნენ ილლიიდან ან წელიდან (აზლოტი – სიგანით თავში 3-5 სმ და ბოლოში 16-20 სმ). სწორ და ვიწრო სახელოებსაც პირდაპირ მიაკერებდნენ. შუა წვივამდე სიგრძის ჯუბას აკერებდნენ 10-12 სმ სიგანის „ქუქუმოს“. ქუქუმო ყოველთვის კონტრასტული ფერის უნდა ყოფილიყო, უმეტესად – წითელი. ბოლოში კი ჯუბას სიმაგრისთვის, მალე რომ არ გაცვეთილიყო, რამდენიმე პირი შალის ძაფის გრეხილი ჰქონია შემოვლებული. კისერსაც ისე ამოჭრიდნენ, რომ ქალს თავზე კარგად გადასცმოდა, საყელო არ ჰქონდა. ყელთან ცოტას კიდევ ჩაჭრიდნენ, გარშემო გრეხილს და ფერად ნაჭრებს შემოავლებდნენ, ღილკილოებით იკრავდნენ. თავიდან მეტად არ რთავდნენ, მოგვიანებით კი ქარგავდნენ „შიბაითკ, კავანყვეტილათი, ნოქვათი და სხვა სახეებით. აკერებდნენ სამკუთხა ფერად ნაჭრებსაც, როგორც ხევსურულ ქოქლო-ჯუბაზე. ჯუბაზე იკეთებდნენ სარტყლებს: მოხუცები – მუქ ფერს: მუქ ლურჯს, მუქ ყავისფერს ან შავს, ახალგაზრდები – წითელს. სარტყელი უნდა ყოფილიყო – ბრტყელი და გრძელი, რომ წელზე ორჯერ შემოხვეოდა და შემდეგ ბოლოები ქვემოთ ჩამოშვებულიყო. მოგვიანებით, ვერცხლისბალთიანი ქამრები შემოსულა და თითქმის ყველა ფშაველს ჰქონია.

ქალის ტყავ-პალტო-ქულაჯა – ბატკნის, ჯიხვის, კვერნის ან მელიის ტყავისგან (ბენვით შიგნით) იკერებოდა ფილინგის სტილზე, იმ განსხვავებით, რომ უკან ნაკლები (2-3) ნაოჭი ჰქონდა.

„ქალო ხოშარას წამოდი, შენ, ჭრელო ქალო მართაო,
ლაშაბ ქულაჯას ჩაგაცომ, ერთ ნაოჭიან ტყავსაო,
ყელზე ვერცხლის შიბს ჩაგიდებ, დაბლა იჭერდეს კალთაო,
ვერცხლის სარტყელსაც გიყიდი, წინ ხელისოდენ ბალთაო“.

ხალხური

PSHAVIAN CLOTHING

THE PSHAVIAN JUBA

Jubas were primarily sewn from single layered, tightly woven wool. The wool fabric was cut off the loom frame, folded in two, cut to the dimensions of 60-80 cm wide and 120-140 cm long, and then sewn up like a sack. If a person was full-grown, then some pleats would be sewn on to the sides at the armpits or in the waist (pleats were 3-5 cm wide at the top and 16-20 cm at the bottom). Straight and narrow sleeves were also directly sewn on. Jubas hung down to the shins. After this some colored edging about 10-12 cm wide was sewn on. This colored edging or kukumo always had to be a different, contrasting color, which was red most of the time. For some reinforcement, the end of a juba was hemmed with some cords of wool yarn so it would not soon wear out. A hole was cut out of the top of a juba so a woman's head could easily fit through it, there was no collar. Slightly more fabric was trimmed off around the throat area, which would be hemmed with cords and colorful patterns and fastened with button loops. Earlier iterations of the juba were not excessively adorned; later however, they were embroidered with color plaited silk stripes, kavatskvetilas, nokvas (kavatskvetilas and nokvas are types of stitches), and other stitches. Colorful, triangular patterns like the ones on Khevsurian koklo-jubas were also sewn on. Sashes were worn on a juba; elderly women wore dark colors, like dark blue, dark brown, or black. Young people wore red sashes. The sashes had to be long and flat, enough to be wrapped around the waist twice and the ends to drape down. Later on, belts with silver buckles were introduced and belts such as these were in almost every Pshavian home.

Woman's leather, fur-lined overcoat – made from lambskin, as well as from ibex, marten, or fox skin, with fur sewn on the inside as padding, differing only in that it had less pleats (2-3).

“Lady, come along to Khoshara, Martha, you colorful woman,
I'll have you put on a pretty overcoat, a leather one with a single pleat,
I'll place a silver necklace around your neck, with a low neckline,
I'll even buy you a silver sash, with a hand sized buckle in front.”





94



○ ჯუბა/ფშავი
Juba/Pshavi
შალი, ბამბა, ვერცხლი
Wool, Cotton, Silver



○ ფშაური ჯუბა ფასტამელით
Pshavian woolen gown with apron



○ ფშაური ჯუბა და ფაფანაგი
Pshavian woolen gown and pleated tunic



ფაფანაგი

(„ქალავ ეგ შენი სიკეთე, გეტყობა ფაფანაგზედა“)

„ქალებს უშაირებივარ
ლელასა და ხოშიასა,
სადედეფლოდ იმზადებენ
ფაფანაგებს ორშიანსა“.

იღებდნენ საფაფანაგო ტოლს (ორშიანს ანუ წმინდას). თითქმის 10 მ ტოლი იყო საჭირო ერთი ფაფანაგისთვის. მოჭრიდნენ ტოლზე 100 სმ ან 96 სმ სიგრძის ნაჭერს. 40 სმ-ს მთელს დაუტოვებდნენ მხრებისთვის, ხოლო 60 სმ-იან ნაწილს ორივე მხრიდან უდგამდნენ თითო აზლოტს ისე, რომ გამოჭრის შემდეგ სახრებზე დატოვებული მობმული ველი, გადაბმის ალაგას 6 სმ და ბოლოზე 20 სმ დარჩენილიყო. ტოლისაგან გამოჭრიდნენ აზლოტებს, რომლებსაც ცალი გვერდი აჰყვებოდა ირიბი, მეო რე სწორი. სიგანეში თავში 6სმ და ბოლოში 16 სმ, სიგრძეზე კი 60 სმ იყო თითო აზლოტი. ამ აზლოტებს ერთმანეთზე გადააბამდნენ, დაალამბავდნენ ისე, რომ ირიბი ნაპირი მეორე აზლოტის სწორ პირზე მიეკერებინათ. აზლოტები 4 ან 4-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. პირველ აზლოტს აკერებდნენ ველს, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. ჯერ დალამბავდნენ, შემდეგ შეკერავდნენ კუდიქცეულათი, ბოლოს „მხვევარათი“ (გვირისტი) ამოუხვევდნენ, რომ გადაჭრის ადგილზე არ გაშლილიყო. ნაკერებში გადატებდნენ ისე, რომ ორი აზლოტის დაკერების შემდეგ ერთი ნაოჭი გამოსულიყო. სულ 10-10 ნაოჭი გამოვიდოდა ველის იქეთ-აქეთ. შემდეგ ამ ყველაფერს მიაკერებდნენ მხარბეჭისთვის დატოვებულ, შეჭრილ ადგილას. აქაც ნაოჭებს ერთ-ორჯერ გაუვლიდნენ კიდევ ნემსის წვერითა და მხვევარათი, შემდეგ აკერებდნენ წინა კალთებზე თითო აზლოტს ისე, რომ სწორი ნაწილი (ნაკერის სახე) გარედან მოყო-ლოდა. კალთების დაკერებისას ილლიის ძირებს ღიად ტოვებდნენ, რასაც ფერადი დარაიის (აბრეშუმის) ნაჭრებით აფორმებდნენ და ფერადი ბანრებით შესაკრავს უკეთებდნენ. ამის შემდეგ ტოლის სწორი, გაუკერავი ნაჭრისგან აკერებდნენ სახელოებს. გაუკერავი სახელოების ნაპირები დარაიას მწვანე ან წითელი ნაჭრებით ჰქონდა გადაბრუნებული და ხელი რომ არ გაყრილიყო, ფერადი ბანრებით იყო წყვილ-წყვილი ხიდით გადაბმული. სახელოებს წვერში 9-10 სმ სიბრტყის შალის ნაჭერს აკერებდნენ ბანრებითა და

THE PAPANAGI

(O, woman, that goodness of yours is evident on your papanagi)

“The women have playfully mocked me,
Lela and Khoshia,
For their wedding day they are preparing,
Double layered papanagis.”

Woolen fabric (double layered or single layered) was taken to make a papanagi. Almost 10 m of the fabric was needed for one papanagi. A piece 100 or 96 cm long would be cut from the fabric. An entire 40 cm was left for the shoulders, whereas a 60 cm part was attached on both sides for each pleat, so that after being cut out, 6 cm of the band left attached to the shoulders remained at the place where the pieces joined together and 20 cm on the coattails. Some slanting pleats would be cut from the fabric, where one side would be slanted, the other side was straight. Each pleat was 6 cm wide at the top and 16 cm wide at the bottom, and 60 cm long. These pleats were sewn or basted together in a way so that the slanted edge was sewn onto the straight edge of the next pleat. There had to be a minimum of 4 pleats, with the desirable number of pleats being 12-14. The first pleat was sewn onto the back waistline flap, first on one side, then on the other. A pleat would first be basted, then sewn with a winding tail.

After this a pleat would be stitched with a mkhvevara (an ornamental type of stitch) so the cut edge would not get frayed. The pleats would be broken apart in the seams so that after the sewing of two pleats, a single fold would result. In all, 10 folds would be on the back waistline flap. Then all of this would be sewn on the place cut out and left for the shoulders. Here too, one or two more folds would be done with needlepoint and floral stitches. Then each pleat would be sewn onto the front of the hems so the correct part of the seam would end up on the outside. When sewing the skirt, the bottom of the armpits would be left open, then shaped with pieces of colored silk fabric, and fastenings with colorful cords done for them. Following this, sleeves made from a straight, unused piece of the wool fabric would be sewn on. The cuffs of the unsewn sleeves were reversed with green or red pieces of silk and for the arms to not slip through, there were colored fastenings joined on with pairs of cross stitches. A piece of wool fabric 9-10 cm wide was sewn into a sleeve, decorated with fastenings and silk patterns. (Cottage Industry Materials. I. Javakhishvili, pg. 108. As told by Kalokro Tavdidishvili-Tuksishvili (in Georgian).) The papanagi had to be adorned in a beautiful way, because this was an indication of the pros and cons of a woman's handiwork.



აბრეშუმის ნაჭრებით შემკობილს (შინამრეწველობის მასალები (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 108. მთხრობელი ქალოქრო თავდიდიშვილი-ტუქსიშვილისა).


ფაფანაგი ლამაზად უნდა ყოფილიყო გაწყობილი, რადგან ის ქალის ხელსაქმის ავკარგიანობის მიმანიშნებელი იყო.



○ ახალგაზრდები ფშაურ სამოსში. 1947 წელი
Young people dressed in Pshavian clothing. 1947

A woman's kulaja (leather overcoat) was made from lambskin, as well as ibex, marten, or fox skin, with fur sewn inside in a peeling style. There was one difference, there were less pleats in the back (2-3).

“O, woman, come along to Khoshara, beautiful Martha,
I'll have you put on a pretty kulaja with one pleat in the leather,
I'll adorn your neck with a silver chain, a dress with low hanging hems,
I'll buy you a silver belt, too, with a fist sized buckle in front.”



○ ესკიზი/Sketch

ქათიბი

ქათიბს ყოველთვის ფაბრიკული ქსოვილისგან კერავდნენ. ძირითადად: დარაიასა და ლასტიკისგან (პრიალა ატლასივით შალვერის ქსოვილი, რომელიც შავი იყო და მწვანედ ცვდებოდა). ირჩევდნენ უფრო ცისფერს, ღვიძლისფერს, მწვანეს ან შავს. ბეჭებისთვის იღებდნენ 40-50 სმ სიგანის ქსოვილს, მხრებზე არ ამოჭრიდნენ. ზედ მიაბამდნენ ერთ აზლოტს შუაზე-ზევით 2 გოჯს (6 სმ) და ქვევით გაშლილი ხელის (16-18 სმ) სიგანისას. მთელ განზე კალთებს ნაოჭად ასხამდნენ და მჭიდროდ მიაკერებდნენ აზლოტის ორივე მხარეს. ამ ასხმულ ნაოჭებში ნემსს ორჯერ გაატარებდნენ პირდაპირი გაყრით და დაამაგრებდნენ. სახელოებსაც გამოუჭრელად, პირდაპირ აკერებდნენ. სახელოები იკერებოდა გრძელი, თითქმის ქათიბის სიგრძე, ხელის გასაყოფად იდაყვის ზემოთ იყო გაჭრილი. ქათიბს სახელოებზე, წინა კალთებსა და ბოლოზე კვერნის, კურდღლის, ჭიხვის ან ბატკნის ბეწვს შემოავლებდნენ. ქათიბი შიგნიდან დასარჩულებული უნდა ყოფილიყო. სარჩულის ბოლო აუცილებლად წითელი აბრეშუმით მთავრდებოდა, გამოჩენის შემთხვევაში რომ ლამაზი ყოფილიყო. სახელოები ბოლოსკენ თანდათან ვიწროვდებოდა და ბოლოში ყოჩები – ხელის ნების დასაფარი ტკეცილი – ეკერებოდა.

100

წიგნში წარმოდგენილია მოძიებული ნიმუშებისა და საკუთარის მიხედვით შექმნილი სამოსის ესკიზები.

სამოსზე მუშაობისას და მისი აღდგენის საქმეში დიდი დახმარება გამიწია ეთნოლოგ ციალა ბეზარაშვილის ნაშრომმა „ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“ (თბილისი, 1974 წ.).

THE KATIBI

A *katibi* (a type of fur coat) was always sewn from manufactured textiles, primarily from silk cloth and cotton satin (a shiny fabric which wore out in a green hue). Sky blue, maroon, green, or black cotton satin were preferred more. A piece of fabric 40-50 cm wide was taken for the upper back, the shoulders were not cut out. One pleat was added in the middle – 6 cm wide at the top and 16-18 cm wide at the bottom. The hems were taken up all around, ruffled into folds, and firmly sewn onto both sides of the pleat. A needle was threaded directly through these folds

twice to firmly attach them. The sleeves for a katibi were also sewn straight on without being cut out. These sleeves were made long, almost the length of a katibi and an opening for the arm was cut out below the elbow. Then the sleeves, front hems, and coattails would be girded with either marten, rabbit, or ibex fur, or lamb wool. The katibi had to be lined inside. Red silk finished off the ends of the lining, so the coat would look beautiful when opened. As the sleeves reached the end, they gradually got narrower, ending in ruffled cuffs. These cuffs covered the palms of the hands.

I attempted to restore this item of clothing according to examples I had searched out and that which I had worn, with sketches of these examples being presented at the appropriate places in the text.

While working on the clothing and reviving it, I was helped tremendously by ethnologist Tsatsa Bezarashvili's work *Women's Clothing in the Mountainous Regions of Eastern Georgia* (Tbilisi, 1974). There are some replicas sewn according to the old clothing presented in the book.



○ ფშაური სამოსით შემოსილი ახალგაზრდები. 1947 წელი
Young people dressed in Pshavian clothing. 1947



102



◦ წელიანი კაბა
Skirt



◦ წელიანი კაბა ქათიბთან და ფასტამელთან ერთად
Skirt with fur jacket and apron

მხრიანი კაბა (მხარსახლიანი)

Shirt dress



○ წელიანი კაბის წინა მხარე
Front side of dress

○ წელიანი კაბის უკანა მხარე
Back side of dress

○ წელიანი კაბის ესკიზი
Sketch of dress





104



○ ქალის სამოსის ესკიზი
ტრანსფორმაციის მე-3 ეტაპი, როცა შესამოსელი ოთხნაწილიანი
(ბოლოკაბა, „რუბაშკა“, კოსტიუმი და ფასტამელი) XIX ს.-ის
ბოლო, XX ს.-ის დასაწყისი

Sketch of the transformation of women's attire

Stage 3 when the outfit consisted of 4 pieces (petticoat, tunic, dress, and apron) at
the end of the 19th century, beginning of 20th century




○ ფშაური „რუბაშკა“ სახელოებით/
Pshavian tunic with sleeves



○ ფშაური კოსტუმში/Pshavian dress



○ ფშაური ბოლოკაბა/Pshavian petticoat



○ ფშაური ფასტამელა/ Pshavian apron

○ ფშაური სამოსის ხუთეულის ესკიზი
Five sketches of Pshavian attire





106



○ ფშაური სამოსი კოსტიუმის გარეშე (წინა და უკანა მხარე)
Pshavian attire without the dress (front and back sides)



107



○ ფშაური სამოსი შემოსაცმელი კოსტიუმის გარეშე
Pshavian attire and throw without the dress



108



○ ფშაური სამოსი. ოთხეული (წინა და უკანა მხარე)
Pshavian attire. Four pieces (front and back sides)



○ ფშაური სამოსი. ხუთეული და
თავსაბურავი-მანდილი
Pshavian attire. Five pieces and head covering



○ ფშაური სამოსის ბოლო ეტაპი — პერანგი,
„რუბაშკა“, ქვედაბოლო, ფასტამელა და კოსტიუმი
The last stage of Pshavian attire — blouse, jacket, underskirt,
apron, and dress





110



○ ფშაური ქალის სამოსის აქსესუარები — ფასტამელა, ძველის მიხედვით აღდგენილი
Accessories for Pshavian women's attire — apron, restored according to an older one





112



ო ქალის სამოსის აქსესუარი — წინდა-კალათა
Accessory for women's attire — knitted handbag





○ ქალის წინდა, დაშობული და ორი ძაფით ნაქსოვი
Woman's stocking with ornamented hems and woven with two yarn threads



114



○ ქალის უთითებო და თითებიანი ხელთათმანები
gloves: mittens and with fingers



○ ქალის უთითებო და თითებიანი ხელთათმანები
Women's clothing accessory, gloves: mittens and with fingers



116



ო ქალის წინდა, დაშობული და ორი ძაფით ნაქსოვი
Woman's stocking with ornamented hems and woven with two yarn threads



◦ ქალის პაჭიჭები და შალის, დაშიბული მაღალყელიანი წინდა
 Woman's leggings and high stockings (ornamented hems)



◦ ქალის შალის დაშიბული, მაღალყელიანი წინდები
 Woman's ornamented high stockings. Wool





118



◉ ქალის დამიბული წინდა და ქალამანი
Woman's ornamented stockings and bast shoes

ო ქალის
 ყელსაბამი —
 იგივე შიბი, და
 საყურეები
 Woman's necklace
 and earrings
 Woman's necklace



119



მამაკაცის სამოსი

ქართული ქსოვილების შემოსვლამდე, ფშავში შალის ტოლისაგან იკერებოდა მამაკაცის როგორც გარედან, ისე შიგნიდან ჩასაცმელი ტანსაცმელიც, ანუ, როგორც ჩოხა-ახალუხი, ისე პერანგი, საგულე და შარვალი.

ჩოხა

საჩოხე ტოლებს ფშავის ქალები ქსოვდნენ შალის ძაფით ან შალის ძაფითა და ყაჭით (აბრეშუმის ძაფი) ერთად. ყაჭით მოქსოვილი ჩოხა ძვირად ფასობდა.

ჩიოდა მუშტათ ქრელაი:
„დამიკოხტავდნენ შვილები,
ლასტიკის ახალოხები,
ზედაც მოსკოვის ღილები.
ყაჭით დაქსოვილ ჩოხები
რო ზედა სხლტება რწყილები“...
– ფშაური პოეზია. გვ. 348

ჩოხას უკანა მხარეს უკეთებდნენ ნაოჭებს – „გუჯასტებს“. რაც მეტი გუჯასტი ჰქონდა ჩოხას, მით უკეთესად ითვლებოდა. კერავდნენ შვიდ და ცხრა გუჯასტიან ჩოხებს. ახალუხი მამაკაცს მუხლს ზემოთ სწვდებოდა, ჩოხა კი – მუხლის ქვემოთ. იდლიაში გახსნილი იყო. სამასრეები ან არ ჰქონდა, ან სანახევროდ ჩანდა, ნახევრად კი შიგნით იყო ჩაშვებული (ჩემ მიერ მოძიებული ყველა ჩოხა გარედან ორნამენტული ჯიბეებით არის გაწყობილი – მასრები არა აქვს). ჩოხის სახელოებს ბოლოში მიკერებული ჰქონდა „ყოჩები“ – ენები. ეს თურმე სასახელო იყო: „მას ყოჩიანი ჩოხა ეცვაო“, იტყოდნენ თურმე. ჩოხაც ორშიანი ტოლისგან იკერებოდა და საუკეთესო იყო.

„ჩოხა მივართვი ორშიანი,
წინდა პაჭიჭი ყაჭისანი“
– ფშაური პოეზია. გვ. 315

MEN'S CLOTHING

Before the introduction of Georgian textiles, men's clothing was also sewn from woolen fabric in Pshavi, items for outer and inner wear. These would be a chokha-akhalukhi, as a well as a shirt, shirt front, and trousers.

THE CHOKHA

The woolen fabric used for chokhas was woven by Pshavian women from wool thread, or from a combination of wool and silk thread. A chokha woven with silk thread was extremely expensive.

Mushtat Chrelai complained:

“My children have become good looking,
Akhalukhis of cotton satin,
Adorned with Muscovite buttons.
Chokhas woven with silk thread
With fleas jumping all over on top...”

(Pshavian Poetry, pg. 348)

A chokha was made with pleats on the back side called gujastis. The more gujastis a chokha had, the better it was. Chokhas with seven or nine gujastis were usually sewn. An akhalukhi reached down to right above a man's knees, a chokha however, went down below the knees. It was open in the armpits. Either chokhas did not have any cartridge holders, or half of them were visible and the other half went down inside (all the chokhas found by me were fitted with ornamental pockets on the outside, they did not have any cartridges). Ruffles (kochebi) were sewn onto the ends of chokha sleeves. These were apparently quite esteemed as people would say, “he wore a chokha with ruffled sleeves.” Chokhas were also sewn with double layered wool fabric and were the best.

“I gave him a chokha with double layered fabric,
Socks and leggings made of silk thread.”

(Pshavian Poetry, pg. 315)







122




◉ მამაკაცის ჩოხა. წინა მხარე
Man's chokha. Front side




○ მამაკაცის ჩოხა. უკანა მხარე
Man's chokha. Back side



○ ჯიბის
სარქველი (2 ც.)





○ ჯიბე (2 ც.)





○ ბორტი - მარჯვენა და
მარცხენა (2 ც.)

○ მამაკაცის თეთრი ჩოხის ესკიზი. წინა მხარე
Sketch of a man's white chokha. Front side





○ მკლავი (2 ც.)



○ საცელო

○ მამაკაცის თეთრი ჩოხის ესკიზი. უკანა მხარე
Sketch of a man's white chokha. Back side



125



ახალუხიც შალის ქსოვილით იკერებოდა, მუხლამდე სიგრძის იყო, წელში გამოყვანილი და მკერდზე მჭიდროდ მორგებული. საყელო და სადილე ორივე მხარეს იყო საგულდაგულოდ დაქარგული ან დაგვირისტებული, ასევე ვერცხლის ან შავი/წითელი ღილებით განწყობილი („მოსკოვურს“ ეძახდნენ ამ ღილებს); ასევე ღილაკილოებით იკვრებოდა. ახალუხი ქარხნული ქსოვილების შემოსვლის შემდეგ ლასტიკით ან სატინის ქსოვილით იკერებოდა.

ისევე, როგორც ქალის, მამაკაცის სამოსის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი იყო საგულე, რომელიც საგულდაგულოდ დაქარგულ-დაგვირისტებული გახლდათ. ზოგჯერ ორსამ საგულესაც კი იცვამდნენ ახალუხის ქვეშ, პერანგზე. ყველა საყელო უნდა გამოჩენილიყო. რაც მეტი საყელო უჩანდა კაცს, მით მეტად შეძლებულად ითვლებოდა ის. ფშაველი მამაკაცის ერთ-ერთ ძირითად ჩასაცმელს წარმოადგენდა ტყავ-ჩოხა – ზამთრის სამოსი, რომელიც იკერებოდა თეთრი ან შავი ბატკნის ტყავისგან. ტყავ-ჩოხას გუჯასტები იმდენი არ ჰქონდა, რამდენიც ჩოხას და 2-3 ნაოჭი თუ ექნებოდა. ჩოხასა და ტყავ-ჩოხაზე ფშავლები ქამარ-ხანჯალს არ იკეთებდნენ, მას იკეთებდნენ ახალუხზე. ჩოხაზე კი მხოლოდ იკიდებდნენ ხმალს; მხარიღლივ იკიდებდნენ ვერცხლისბალთებიან მხარსაკიდს „აშურმას“; ასევე, იკიდებდნენ მათარაზე გამობმულ ღვედს, რაშიც დაკეცილი მათრახი ედოთ. ორნაირ მათრახს ატარებდნენ: მსუბუქს – ცხენისთვის და დაბალტულს – ჩხუბში სახმარად. ამ უკანასკნელს ფოლადის მავთულები ჰქონდა ჩახვეული და „ტარიე-ლისას“ უწოდებდნენ. მამაკაცის აქსესუარი სათამბაქოე და საფულე, საყვარელი ქალის მიერ ნაჭრელები და ნაქარგი, ვერცხლის ღილებითა და მძივებით მორთული.

ფშაველი მამაკაცი საცვალს არ ხმარობდა, მუხლს ჩაცილებულ შალის შარვალს იცვამდა შიშველ სხეულზე. სათავე გადაკერილი იყო და შარვალს შიგ გაყრილი თოკით („ხონჯარი“) იკრავდნენ. შარვალზე ზედ ამოიცვამდნენ შალის ქსოვილისგან შეკერილ პაჭიჭებს და „წვივსაკრავებით“ (ბალთიანი თასმა) დაიმაგრებდნენ, რომ პაჭიჭი ქვემოთ არ ჩაცურებულყო.

მამაკაცის სამოსის აქსესუარებს წარმოადგენდა ასევე ცხვრის ბეწვის ფაფახი, კულმუხის ქუდი და ყაბალახი.

„აქლემის ყელის ჩოხა სცვავ,
თავზე კულმუხის ქუდია,
მხარიღლივ ყაბალახაი,
დაფასდა ოცდახუთია“.

ფშაური პოეზია, ქოლა უძილაური

Even akhalukhis were sewn from wool fabric. They reached down to the knees, were narrow-waisted, and decorated on the chest. The collar and both sides of the front fastening were meticulously embroidered or fancily stitched with a sewing machine. The akhalukhis were also outfitted with either silver or red and black buttons (these buttons were called moskovuri – Muscovite buttons) and were sewn with button loops. Following the introduction of fabricated textiles, akhalukhis were made with either cotton satin or black satin.

One of the primary components of a man's attire was the shirt front. This always figured in a woman's attire as well. The shirtfront was also meticulously embroidered and stitched. Sometimes men wore 2 or even 3 shirtfronts on their perangi (shirt) inside their akhalukhi. All the collars had to stand out. The more visible a collar was on a man, the greater his economic means were.

A leather chokha was also a Pshavian man's clothing accessory. This type of chokha was for the winter and was sewn from either white or black lambskin. It was almost sewn like a chokha, except it did not have as many gujastis. A leather chokha had only about 2-3 pleats. Pshavians did not wrap the belt and dagger around the chokha, instead they did put the belt on over their akhalukhi. Only a sword was sported outside a chokha. A shoulder strap with silver buckles called an ashurma was hung across from the shoulder to the armpit. Men also tied a strap onto their leather water bag, in which a folded-up whip was stored. Two kinds of whips were carried: a light one for a horse and a dazaltuli whip to use in fights. A dazaltuli whip had steel wires wrapped up inside it. This kind of whip was also called a tarielisa whip. Tobacco pouches and money bags were also men's accessories usually decorated by their mistresses and embroidered and decorated with silver buttons and beads.

Pshavian men did not use any underwear, but instead wore woolen trousers against bare skin. The top was stitched up and a khonjari (cord) was threaded through, with which they fastened the trousers. These trousers dropped below the knees. Leggings made from wool fabric were put on over them and secured with garters so the leggings would not sag down. A garter was a leather strip with a clasp.

Sheep wool papakhas, and ratine hats and bashlyks were also men's clothing accessories.

“You put on a camel neck chokha,
With a ratine hat,
A bashlyk across your shoulder,
It was valued at twenty-five.”

(Pshavian Poetry, Tchola Udzilauri)



როგორც ქუდი იყო შავი ან თეთრი, ასევე ყაბალახი იყო სხვადასხვა ფერის. ყაბალახი იყო ძველად ყდაზე მოქსოვილი ქსოვილისგან, მოგვიანებით კი ფაბრიკული შალის ქსოვილით შეკერილი – შავი, თეთრი ან წითელი ფერის ნაკერით. ფეხსაცმელი – ქალამანი. ქალამნის ამოსხმის წესი მოცემულია ქალის სამოსში.

ქალის და მამაკაცის ქალამნის გაკეთების წესი ერთნაირია, ზომებშია განსხვავება. ქალის აქსესუარებიდან მთავარი იყო საქალო (ხელსაქმის) ჩანთა – „წინდა-კალათა“ და ზურგსაკიდი გუდა. ფშავლებს „გუდის ფშავლებს“ იმიტომ ეძახდნენ, რომ ბავშვი ქალს ხბოს ტყავის გუდაში ეჯდა და სულ ზურგზე აკიდებული დაჰყავდა, სათიბ-სახვეტსა თუ სამკალში.

მამაკაცის აქსესუარებიდან კი საინტერესოა საფულე-სათამბაქოე, რომელსაც შეყვარებული, დედა, საცოლუ ან დობილი უკერავდა, ნაირფერად მოურთავდა და ინიციალებს უქარგავდა.

„დილას სამკალში წამოედ, არიყო გათენებული,
დავკარგე სათამბაქოე ნადობის დაჭრელებული,
დარაიას თიკვისა, ნადობის დაჭრელებული,
ახალი იყო ორივე, არიყო დაძველებული,
ფულები ჰქონდა სახსოვრად გარედან დაკერებული“.

„ჩემს დას ძალიან უყვარხარ,
საფულე შაგიკერაო,
თიკვია დარაიი,
მიტკლად კი დაგიჭრელო,
რო ნახო პირი შაგცინებს
გუარ-სახელ ჩაგინერაო“.

ფშაური პოეზია, გვ. 342

Since hats were either black or white, bashlyks were also in various colors. In the old days, bashlyks were sewn from fabric woven on a loom, later they were made from fabricated wool textiles in black, white, or red.

Bast shoes were worn as footwear. The method for putting on bast shoes is given in women's clothing. Men and women put on bast shoes in the same way, just the sizes were different.

Another accessory was the sakalo chanta or tsinda kalata (woman's bag or stocking basket) which every woman had. This was a bag for her needlework. There were also leather shoulder bags called gudas. Pshavians were called "guda Pshavians" because a woman carried her children in a calfskin guda and took them around everywhere hanging on her back – whether it be traveling, haymaking, shoveling, or harvesting – and she raised them this way.

The men had money and tobacco pouches sewn by a love interest, mother, fiancée, or sworn sister, decorated in numerous ways with the inclusion of their initials.

"I came along to the harvest in the morning, the sun had not risen,
I lost my tobacco pouch, ornamented by my sworn sister,
A piece of silk cloth, colorfully embroidered by my sworn sister,
Both were new, not old at all,
It had some coins sewn outside as a keepsake."

"My sister loves you so much,
She sewed you a money pouch,
Made of silk cloth,
She adorned it with colorful calico,
So, when you see it, a smile comes to your face,
She also wrote your name and surname."

(Pshavian Poetry, pg. 342)





130



ო მამაკაცის ახალუხი საგულესთან ერთად. წინა მხარე
Man's akhalukhi with shirt front. Front side



131



◉ მამაკაცის ახალუხი. წინა მხარე
Man's akhalukhi. Front side



◌ მამაკაცის საგულე. ერთი საუკუნის წინ შეკერილი
Man's shirt front. Sewn one century ago



132



◌ მამაკაცის საგულე. ერთი საუკუნის წინ შეკერილი. სატინა (ბამბა)
Man's shirt front. Sewn one century ago. Cotton satin



133



o მამაკაცის ატლასის პერანგი აბრეშუმის საცელოთი
Man's shirt. Satin. Silk collar



134



◉ მამაკაცის ფშაური სამოსი, სრული ნაკრები (პერანგი, ახალუხი, საგულე, ჩოხა, ფაფახი)
Pshavian man's attire, complete outfit (shirt, akhalukhi, shirt front, chokha, papakha)



135



○ მამაკაცის ახალუხი, საგულე, ფაფახი
Man's akhalukhi, shirt front, papakha



136



მამაკაცის ახალუხი
Man's akhalukhi



137



◌ მამაკაცის ატლასის პერანგი. აბრეშუმის საყელითი
Man's shirt. Satin. Silk collar



◦ მამაკაცის შალის პაჭიჭები (ორნამენტით ნაქსოვი)
Man's leggings (wool, woven with ornaments)



◦ მამაკაცის წინდა „საყდრიანი“
(დაშობული)
Man's stockings with ornaments (decorated hems)



◦ მამაკაცის (შალის წინდა (ჩხირებით ნაქსოვი)
Man's stockings (wool, woven with knitting needles)





◦ მამაკაცის საფულე
Man's Purse





140



◉ მამაკაცის სათამბაქოე
Man's Tobacco pouch



◉ მამაკაცის ქამარ-ხანჯალი
Man's belt and dagger



141



◉ ფაფახი
Papakha

ფეხსაცმელი

